ეროვნული ბიბლიოთეკა

11/VII

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ. ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატრ.-ბუთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.

მთავარი კანტორა: ტბილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე-2 სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადებ— 10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—43.

ფასი 10,000 მან.

პროვინციაში 12,000 მან.

№ 157 ოთხშაბათი, 12 ივლისი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ოთხშაბათი, 12 ივლისი 1922 წ. № 157

კომიაჩეიკებზე მიმაგრებულ ყველა პასუხისმგებელ პარტიულ ამხანაგებს და კომიაჩეიკების ყველა მდივნებს.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს კომიაჩეიკებზე მიმაგრებულ ყველა პასუხისმგებელ პარტიულ ამხანაგებს და კომიაჩეიკების ყველა მდივნებს გამოცხადდენ ამა წლის 13 ივლისს, ხუთშაბათს, ქალაქის აღმასკომის დარბაზში **საინსტრუქციო მოხსენებაზე** მომავალ ერთიან პარტიულ დღის მოწყობისათვის.

თემა—**კომინტერნის აღმასკომის პლენუმის შედეგები.**

ყველა ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის მდივანი **კახიანი.**

მონარქისტების ერთიანი ფრონტი

გერმანიაში ამ ბოლო დროს დატრიალებულმა ამბებმა ბევრი რამეს მოჰფინეს მზის სინათლე.

მონარქიული ორგანიზაციები, რომელთაც მოაწყვეს წინედ ერცბერგერის, ეხლა კი რატენაუს მკვლელობა, გახდნენ განსაკუთრებულ ყურადღების ობიექტად. აშკარავდება უამრავი ფაქტები მონარქისტულ ჯგუფების ბნელი მოქმედების შესახებ.

ჩვენ აქ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, სახელდობრ ის, რომ გერმანიის მონარქისტებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ გაბმული რუსეთის მონარქისტებთან. არის მრავალი ფაქტები და საბუთები ამ კავშირის დამამტკიცებელი. რუს მონარქისტების რაინხელჰალის (გერმანია) ყრილობა მოწყობილ იქნა გერმანელ მონარქისტების მატერიალურ დახმარებით. ამ ყრილობას დაესწრნენ გერმანიის მონარქისტების ოფიციალური წარმომადგენელნი. ბავარიასა და ბერლინში არსებობენ საჯაროდ გერმანია-რუსეთის მონარქისტული კლუბები. ურთიერთ შორის მუდმივი კავშირის დასაჭერად ამ ორი ქვეყნის მონარქისტულ ორგანიზაციებს ფართე აპარატი და აგენტურა ჰქონდათ მოწყობილი. ნაბოკოვის მკვლელობის შესახებ, რომელიც ჩაიდინეს რუს მონარქისტებმა, მშვენივრად იცოდნენ მათმა გერმანელმა კოლეგებმა. ეს უკანასკნელნი კიდეც ხელს უწყობდნენ ამ აქტს და ცდილობდენ დამნაშავეთა კვალის მოსპობას.

ყველაფერი ეს კარგად მოეხსენებოდა გერმანიის მთავრობას და მის პოლიციას, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდნენ და იჩენდნენ სრულ უმოქმედობას.

ცხადია ის საერთო მიზანი, რომელიც აერთიანებს გერმანიის და რუსეთის მონარქისტებს. გერმანიის მონარქისტები ემზადებიან გადატრიალების მოსახდენად. ვილჰელმის ტახტის აღდგენა შეადგენს მათ საოცნებო საგანს. ამასთან ასეთი გადატრიალების საშუალებით, მათი აზრით, შესაძლებელი იქნება ხალხის დარაზმვა ანტანტის წინააღმდეგ საბრძოლველად და გერმანიის ძველებური ძლიერების აღდგენა. ასეთი ფართე მიზნის განსახორციელებლად გერმანიის მონარქისტები ეძებენ მოკავშირეთ... რუსეთის მონარქისტებში. გერმანიის მონარქისტები საფუძვლიანად ფიქრობენ,რომ, თუგინდ დროებით განხორციელდეს მათი ოცნება და გერმანიაში მოხდეს მონარქიული გადატრიალება,—ეს წყობილება დიდ ხანს ვერ იბოგინებს, ის არ იქნება მტკიცე, სანამ მახლობლად არსებობს დიდი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა.

ამიტომ მათ მიზანს, რა თქმა უნდა, შეადგენს რუსეთში საბჭოთა წყობილების დამხობა და მონარქიის აღდგენა. ამასთან გერმანიის მონარქისტებს იმედი აქვთ, რომ რუსეთში ასეთი გადატრიალების მოხდენა არამც თუ განამტკიცებს მათ ქვეყანაში მონარქისტულ რეჟიმს, არამედ მეფის რუსეთი შეკრავს კავშირს კაიზერის გერმანიასთან ანტანტის წინააღმდეგ და საერთოდ დაეხმარება ნაციონალისტურ ზრახვების განხორციელებაში.

რუსეთის მონარქისტები კი უკავშირდებიან თავის, გერმანიის თანამოაზრეთ და მათი დახმარებით სურთ მონარქისტული რესტავრაციის მოხდენა რუსეთში და თვითმპყრობელურ, ერთიან და განუყოფელ რუსეთის აღდგენა.

აი, ის საერთო მიზნები, რომელნიც აკავშირებენ ამ ორი ქვეყნის შავ ძალებს.

რამდენად შესაძლებელია მათი ზრახვების განხორციელება?

განა მტკიცება უნდა, რომ რუსეთში მონარქისტულ რესტავრაციას არავითარი ნიადაგი არა აქვს! საბჭოთა ხელისუფლება, რომელსაც მთლიანად უჭერენ მხარს რუსეთის მუშები და გლეხები, მტკიცედ დგას საბჭოთა მიწა-წყალზე. კონტრ რევოლიუციონერები ალაგმული არიან და თუ მათ ისევ წამოყვეს თავი, მუშურ-გლეხურ მთავრობას საკმაოზე მეტი ძალა აქვს ძირშივე ჩაკლას მათი ყოველგვარი ცდა. იგივე ვერ ითქმის გერმანიის შესახებ. იქ „დემოკრატიული" მთავრობა სრულ თავისუფლებას აძლევდა ხალხის მტრებს დარაზმულიყვნენ. აქვე შეაფარეს თავი რუსეთიდან გამოქცეულმა კონტრ-რევოლიუციონერებმა. მუშათა კლასის მიმართ ასეთი მოღალატური პოლიტიკის შედეგია ის გართულება, რომელსაც ამ ჟამად ადგილი აქვს გერმანიაში, როცა ეს უკანასკნელი მონარქიის აღდგენის აჩრდილის წინაშე დადგა.

მუშათა ერთსულოვანი გამოსვლის წყალობით ჯერჯერობით აცილებულ იქნა რესტავრაციის საფრთხე.

მაგრამ გერმანიის მუშათა კლასმა უნდა გაითვალისწინოს, რომ კონტრ - რევოლიუციის ძირიან - ფესვიანად და სამუდამოდ ამოგდება შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატის ხელისუფლებას, საბჭოთა მთავრობას. ამის კლასიკურ მაგალითს რუსეთი წარმოადგენს. და ეჭვი არ არის, რომ გერმანიის და საერთოდ მსოფლიოს პროლეტარიატი დღეს თუ ხვალ გამოიყენებს საბჭოთა რუსეთის გაკვეთილს და გადამწყვეტ ბრძოლაზე გადავა თავის დიქტატურის განსახორციელებლად. ამ საქმეში მას დიდად დაეხმარება რუსეთის მშრომელი მასსა, რომელიც სასიცოცხლოდ დაინტერესებულია კონტრ რევოლიუციის მოსპობაში და იმ კონტრ-რევოლიუციონერებისაც რომელნიც გააძევა მან თავის რევოლიუციონურ სამშობლოდან და რომელნიც საზღვარ გარედ თავშეფარებულნი იქაურ შავ ძალებს უკავშირდებიან და ისევ ლამობენ მშრომელთა ძალა უფლების დამხობას რუსეთში.

ჰააგის კონფერენცია

ამხ. ლიტვინოვის ნოტა. საფრანგეთისა და ბელგიის მონაწილეობის საკითხი.

ჰააგა. 27 ივლისი. (რუსეთის დელეგაციის პრესბიუროს კაბლოგრამა) დღეს, 4 საათზე, ლიტვინოვმა გადასცა პატენს შემდეგი ნოტა: „ბატონო თავმჯდომარე! გენუის კონფერენციის პირველმა კომისიამ, თავის სხდომაზე, 18 მაისს მიიღო ექვსი მუხლი, რომელნიც დამტკიცებულნი იყვნენ კონფარენციის პლენარულ სხდომაზე 19 მაისს და რომელნიც შეიქნენ საფუძველნი ჰააგის კომისიის მოწვევისა. ამ სხდომაზე საფრანგეთ-ბელგიის დელაგაციების მიერ გაკეთებული განცხადებიდან გამოდიოდა, რომ საფრანგეთისა და ბელგიის მიერ კონფერენციაზე წარმოდგენილ სხვა დანარჩენ სახელმწიფოების მოუხედავათ, ხსენებული მუხლები არ იქნა მიღებული და რომ თვით დელეგაციებმა დაიტოვეს მხოლოდ უფლება გადასცენ ამ მუხლების საკითხი თავიანთ მთავრობებს განსახილველად. ამავე დროს კი, როგორც ეს გარკვეულად იყო აღნიშნული შანცერის სიტყვაში, 19 მაისის სხდომაზე, ხსენებული მუხლები მთლიანად წარმოადგენენ იმ საფუძველს, რომელზედაც ეყრდნობა ჰააგის კომისიის მუშაობა. ამ მუშაობაში ამა თუ იმ სახელმწიფოს მონაწილეობა, სავსებით არის დამოკიდებული მისგან ხსენებულ მუხლების მიღებაზე. დღემდე რუსეთის მთავრობამ არაფერი არიცის, გარდა 19 მაისის სხდომაზე გაკეთებული განცხადებისა, იმ ნაბიჯების შესახებ, რომელიც გადადგეს საფრანგეთისა და ბელგიის მთავრობებმა ხსენებული მუხლების მისაღებად. ამის გამო რუსეთის დელეგაცია მოგმართავთ თქვენ თხოვნით გვაცნობოთ, იყო თუ არა ხსენებულ მთავრობათა მხრივ გაკეთებული განცხადება, აღნიშნულ მუხლების გადაჭრით მიღების შესახებ და, მაშასადამე, მონაწილეობდენ თუ არა ისინი არა რუსულ კომისიაში იმავე საფუძვლებზე, როგორზედაც სხვა დანარჩენ სახელმწიფოში. ამასთან ერთად რუსეთის დელეგაცია გთხოვთ აცნობოთ მას, შეუერთდა თუ არა აღნიშნულ მუხლებს ნორვეგია, რომლის წარმომადგენლებმა გენუაში ხსენებული მუხლები მიიღეს პირობით.

საფრანგეთის დელეგაციის თვალთმაქცობა. ინგლისის წარმომადგენელი უერთდება ამხ. ლიტვინოვის წინადადებას. ინფორმაციის ურთიერთი გაცვლა.

ჰააგა. 27 ივნისი (რუსეთის დელეგაციის პრესბიუროს კაბლოგრამა). დღევანდელი სხდომის შედეგები შესაძლებელია შემდეგნაირად გამოვხატოთ: როგორც სჩანს ინგლისი უერთდება რუსეთის თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ჰააგა არის გენუის გაგრძელება და ამასთან ორივე ამ მხარეს დავალებული აქვსთ ვალების საკითხის შესახებ ინფორმაციის ურთიერთი გაცვლა. სხდომის დამახასიათებელი თვისება იყო საფრანგეთის დელეგაციის მრავალჯერ განცხადება იმის შესახებ, რომ ჰააგის კონფერენცია ისახავს მიზნათ მხოლოდ პრაქტიკულ ზომებს და რომ, მისი აზრით, კონფერენცია მიაღწევს სასურველ შედეგებს.

ვალების ქვე-კომისიის სხდომაზე გამეფებული იყო თუმცა მშვიდობიანი, მაგრამ არა სავსებით საქმიანი ხასიათის ტონი. იმავ დროს ამ სხდომაზე უკვე ნათლად ჩამოყალიბდა განსხვავება არა მარტო მუშაობის იმ მეთოდებში, რომელსაც აყენებდა რუსეთის დელეგაცია და მოწინააღმდეგე მეორე მხარე, არამედ გამოაშკარავდა ერთგვარი წინააღმდეგობა თვით ამ მეორე მხარის წრეშიდაც. სხდომის თავმჯდომარემ, საფრანგეთის დელეგატმა ალფანმა შემდეგნაირად დაახასიათა ვალების ქვე კომისიის მომავალი მუშაობა: რუსეთის დელეგაციამ უნდა წარუდგინოს ქვეკომისიას ვრცელი ინფორმაცია რუსეთის დავალიანების საკითხის შესახებ, ესე იგი იმ სახელმწიფო ვალების შესახებ, რომელთაც აქვთ ან არა აქვთ გარანტიები, მუნიციპალური ვალების, ომის განმავლობაში სახელმწიფო ხაზინის მიერ გამოცემული ობლიგაციების შესახებაც და გარდა ამისა საკმაო ცნობები სახელმწიფო ბიუჯეტის ფულის სისტემის, ქაღალდის ტრიალის სახელმწიფო ბანკის მოქმედების და საგარეო ვაჭრობის მდგომარეობის შესახებაც. ალფანის წინადადებამ გამოიწვია ცხოველი კამათი, რომლის დროსაც ლიტვინოვმა აღნიშნა, რომ რუსეთის დელეგაციას არაფერი არ აქვს საწინააღმდეგო ყველა ამ საკითხების შესახებ სათანადო და სავსებით საკმარისი ინფორმაციის წარმოდგენისა, მაგრამ იმავ დროს მას არ ესმის თუ რა დამოკიდებულება აქვს ამ ინფორმაციას ვალების კონკრეტიულ საკითხთან. ალფანი ცდილობდა განემარტა, რომ ეს ინფორმაცია აუცილებელია მორატორიუმისა და სხვა ზომების გადაწყვეტის გასაადვილებლად, რომელთა შესაძლებლობაც კი შეიძლება აღიძრას რუსეთის ვალების ლიკვიდაციის დროს. ლიტვინოვმა ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ იგი პრინციპიალურად არ არის წინააღმდეგი ინფორმაციის წარმოდგენისა, მაგრამ ამასთან ერთად მიუთითა სხდომას იმაზე, რომ მორატორიუმის შესახებ საკითხი უკვე დადებითად იქნა გადაწყვეტილი გენუაში. ალფანმა უპასუხა, რომ გენუაში არ ყოფილა მიღებული არავითარი გადაწყვეტილება და რომ ჰააგა გენუის გაგრძელება კი არ არის, არამედ სრულებით დამოუკიდებელი საქმიანი ხასიათის კონფერენციაა, რომელმაც სრულებით თავიდან უნდა დაიწყოს მუშაობა. ლიტვინოვმა კატეგორიული პროტესტი განაცხადა ამ თვალსაზრისის წინააღმდეგ და აღნიშნა მთელი რიგი იმ საკითხებისა, რომელნიც გადაწყვეტილნი იქნენ გენუაში და ხაზი გაუსვა იმას, რომ გენუის კონფერენციამ, ჰააგის კონფერენციის სამუშაოთ, გამოიყო სამი პრობლემა, რომელთა გადაწყვეტაც ბრკოლდებოდა გენუაში. ამ საკითხში ლიტვინოვს, ფრანგებისათვის ალბათ მოულოდნელად, მხარი დაუჭირა ინგლისის წარმომადგენელმა იუნგმა, რომელმაც განაცხადა შემდეგი: „ჩვენ სრულებით არა გვაქვს განზრახვა გვერდი აუაროთ გენუის კონფერენციას ან და გადავუხვიოთ მის დადგენილებებს. მართალია, გენუაში არ ყოფილა მიღებული არავითარი ფორმალური გადაწყვეტილება, მაგრამ მაინც მოხდა ზოგიერთი პრაქტიკული შეთანხმებანი და ამ თვალსაზრისით მე სრულებით ვეთანხმები ლიტვინოვს, რომელიც ფიქრობს რომ ჰააგის კონფერენციის მუშაობა უნდა დაიწყოს იმ მუხლიდან, სადაც დამთავრდა გენუის კონფერენციის პრაქტიკული მუშაობა და რომ ჰააგა ამ პრაქტიკული და არა ფორმალური მისაზრებით არის გენუის გაგრძელება".

იუნგის ამ განცხადების შემდეგ, ალფანმა მოინდომა საკითხის მიფუჩეჩება და განაცხადა, რომ თუმცა საფრანგეთს არავითარი ვალდებულებანი გენუაში თავის თავზე არ მიუღია, მაგრამ ეს ყოველ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ უნდა გაუწიოთ ანგარიში გენუის მოლაპარაკებას, რომელიც წარმოადგენს ძვირფას მასალას ჰააგის მუშაობისათვის. ამით დროებით ამოიწურა საკითხი ჰააგისა და გენუის კავშირის შესახებ; მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ მომავალში, ყოველ ახლო სხდომაზე, იგი კვლავ წამოიჭრება.

რაც შეეხება რუსეთის დავალიანების შესახებ ინფორმაციის წარდგენის საკითხს, სხდომამ ბოლოს და ბოლოს მიიღო ლიტვინოვის კომპრომისული წინადადება, რომლის მთავარი შინაარსიც შემდეგია: ერთდაიმავე დროს, როდესაც რუსეთის დელეგაცია დაიწყებს თავის ინფორმაციის დამზადებას, დანარჩენმა დელეგაციებმა თავის მხრივ უნდა წარმოადგინონ სტატისტიკური ცნობები რუსულ ფასიან ქაღალდების რაოდენობის შესახებ, რომელიც კი იმყოფება საზღვარ გარეთ რუსეთისათვის წარსადგენი პრეტენზიების საერთო ჯამის შესახებ და სხვ. იმისათვის, რომ გაადვილებულ იქნეს ამ ცნობების წარმოდგენა, რუსეთის დელეგაცია გადასცემს მეორე მხარეს დაწვრილებითი და სისტემაში მოყვანილ სიას იმ საკითხებისას, რომელნიც ეხებიან რუსეთის ვალებს. ამასთან ერთად ლიტვინოვმა აღნიშნა, რომ რუსეთის დელეგაციას განზრახვა აქვს ამ გვარათვე იმოქმედოს კერძო პირთა პრეტენზიების საკითხის გადაწყვეტის დროსაც, რისთვისაც აგრეთვე გადაცემული იქნება სია იმ საკითხებისა, რომელზედაც პასუხი უნდა გასცენ ჰააგაში წარმოდგენილმა სახელმწიფოებმა. თავის მხრივ რუსეთის დელეგაცია სიამოვნებით გადასცემს ქვე-კომისიის განკარგულებაში ვალების შესახებ მოთხოვნილ მთელ ინფორმაციას, მხოლოდ იმ შენიშვნით, რომ ამ ინფორმაციის წარმოდგენა სრულებითაც არ სწყვეტს ვალების ცნობის საკითხს. ეს წინადადება მიღებულ იქნა. ვალების ქვეკომისიის შემდეგ სხდომაზე, რომელიც გაიმართება მომავალ კვირაში, მომზადებული იქნება საინფორმაციო მასალა ვალების შესახებ, რომელიც კი ამ ორთავე მხარეს მოეპოვება.

კრედიტების საკითხის განხილვა. მუშაობის პროგრამა. პირველი შთაბეჭდილებანი.

ჰააგა. 25 ივნისი. (რუსეთის დელეგაციის პრეს-ბიუროს კაბლოგრამა). კონფერენციის პრაქტიკული მუშაობა დაიწყო დღეს კრედიტების ქვე-კომისიის სხდომით. რუსეთის დელეგაციისაგან ამ ქვე-კომისიაში შედის 11 წევრი და ექსპერტების დიდი რიცხვი, სხდომის თავმჯდომარემ, იტალიის დელეგაციის მეთაურმა ავეცანამ გახსნა კრება მოკლე მისასალმებელი სიტყვით. დამახასიათებელია სხვათა შორის ის, რომ მან გამოსთქვა სრული კმაყოფილება იმ ინტერვიუს შესახებ, რომელიც ქონდა გუშინ ლიტვინოვს პრესის წარმომადგენლებთან. სხდომა, რომელიც გაგრძელდა ორ საათს, უმთავრესად იხილავდა მთავრობის კრედიტების საკითხს. რუსეთის დელეგაცია, ლიტვინოვის სახით, იცავდა იმ თვალსაზრისს, რომ მის მიერ გამოთხოვილი კრედიტები უნდა იყოს ან სახელმწიფო, ან და სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი, მაგრამ არა კერძო სესხი, ვინაიდან ამ უკანასკნელის მისაღებად არ არის საჭირო სახელმწიფოთა კონფერენციების მოწვევა. ინგლისისა და განსაკუთრებით საფრანგეთის წარმომადგენლებს ძლიერ აინტერესებდათ კრედიტების დანიშნულების საკითხი, მისი ნამდვილი რაოდენობა და სათანადო გარანტიები. ამის საპასუხოთ ლიტვინოვმა განაცხადა, რომ ყველა ეს საკითხები შეიძლება დაისვას განსახილველად მხოლოდ მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილი იქნება პრინციპიალური საკითხი: შეუძლიათ თუ არა კონფერენციაზე წარმოდგენილ სახელმწიფოებს გაუხსნან რუსეთს კრედიტები და სურთ თუ არა მათ ეს. „ის ვინც თხოულობს კრედიტებს, ისროლა რეპლიკა საფრანგეთის დელეგატმა, აუცილებლად უნდა აღნიშნავდეს რა გარანტიებს იძლევა იგი თავისი ვალების უზრუნველსაყოფად და რაოდენი თანხა სურს მას მიიღოს". ამას მოყვა ლიტვინოვის შემდეგი საპასუხო რეპლიკა, რამაც სხდომაში მნიშვნელოვანი სიცხოველე შეიტანა: „სანამდის ამ კითხვებზე პასუხს გავცემდე, მომავალი მევალე უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ მის მომავალ კრედიტორს, მართლაც აქვს თავის განკარგულებაში საჭირო თანხები".

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, კრედიტების ქვე-კომისიამ შეიმუშავა მუშაობის შემდეგი პროგრამა: 1. პრინციპიალური საკითხი რუსეთისათვის კრედიტების მიცემის შესაძლებლობის შესახებ. 2 ინფორმაცია რუსეთის მეურნეობის აღდგენის გეგმის შესახებ, და 3. გარანტიების საკითხი. პირველი საკითხი დღევანდელი სხდომის შემდეგ შეიძლება დადებითად გადაწყვეტილად ჩავთვალოთ, რამდენადაც საქმე ეხება ჰააგის დელეგაციებს, მაგრამ რასაკვირველია ამ გადაწყვეტილებათ ესაჭიროება დამტკიცება სათანადო მთავრობათაგან. ამ დასტურის მოლოდინში კრედიტების კომისია შეუდგება საკითხის შესწავლას კრედიტების ქვეკომისიის მეორე სხდომაზე, რომელიც გაიმართება ამ დღეებში და რომელზედაც მოსმენილი იქნება რუსეთის დელეგაციის განცხადება რუსეთის მეურნეობის აღდგენის გეგმის შესახებ.

შედეგებს პირველი სხდომისას, რომელიც მიმდინარეობდა ძალიან მშვიდობიანად და საქმიანი ხასიათით, დადებითად აფასებს ორივე მხარე, თუმცა, რასაკვირველია, ყველა დარწმუნებულია იმაში, რომ ჯერ-ჯერობით საკითხი არ გასცილებია აზრთა წინასწარ გაცვლა-გამოცვლას. მაგრამ, მაინც, უკვე ახლა შეიძლება აღინიშნოს, რომ კონფერენციის მუშაობა თავიდანვე შედგა იმ გზაზე, რომელიც დასახული ქონდა რუსეთის დელეგაციას, ხოლო კრედიტების საკითხს აქვს ტენდენცია გახდეს კონფერენციის მუშაობის ცენტრალურ მუხლად. ხვალ გაიმართება ვალების ქვე კომისიის პირველი სხდომა. მოელიან, რომ საფრანგეთის დელეგაცია ამ სხდომაზე ერთგვარად მაინც გამოარკვევს თავის პოზიციას კონფერენციის მიმართ კულუარებში არსებულ აზრის მიხედვით, საფრანგეთის დელეგაციას ჯერ ჯერობით ფრთხილი და მოცდითი პოზიცია უჭირავს და მას განუწყვეტელი კავშირი აქვს პარიზთან. უფრო მეტს ინიციატივასა და დამოუკიდებლობას იჩენენ ინგლისისა და იტალიის დელეგაციები.

პრესის აზრი.

„ლიტვინოვმა დაანგრია მოკავშირეთა დელეგაციების მიერ მტკიცედ აგებული შენობა".

ჰააგა. 27 ივნისი. (რუსეთის დელეგაციის პრესბიუროს კაბლოგრამა). ინგლის საფრანგეთის პრესა ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას აქცევს ჰააგას. მხოლოდ დღეს უძღვნეს გაზ. „ტაიმზმა" და „ჟურნალ დედებამ" ჰააგას მოწინავე წერილები. გაზ. „ტაიმს"-ი თავისი ჩვეულებრივი ტონით აცხადებს, რომ რუსეთის დელეგაციას ჰააგაში არა აქვს უფლება იყოს რუსეთის ხალხის წარმომადგენელი და აღშფოთებულია იმით, რომ რუსეთის დელეგაცია თხოულობს კრედიტებს მაშინ, როდესაც თვითონ არ ადგენს არავითარ გარანტიებს. ამასთან ერთად გაზეთი აღნიშნავს, რომ ჰააგის კონფერენცია სრულებით შემცდარათ მიუდგა ევროპის აღდგენის საკითხს.

გაზ. „ჟურნალ დედება" ვრცლად ეხება ლიტვინოვის ინტერვიუს. ამ გაზეთის მოწინავე წერილი ძალიან უხეშად არის დაწერილი და შეიცავს მრავალ ინსინუაციებს ლიტვინოვის მიმართ. გადმოგვცემს რა ირონიულად ამ ინტერვიუს, მოწინავე წერილი იმედს გამოსთქვამს, რომ ჰააგის ქვეკომისიები მოსთხოვენ რუსეთს ნამდვილსა და გადაჭრით პასუხს ყველა დასმულ კითხვებზე.

ორივე სახელმწიფოს ლიბერალური პრესა ჯერ-ჯერობით სდუმს კონფერენციის შესახებ. ფრანგული გაზეთების ჰააგის კორესპონდენტები აგრეთვე ვრცლად ეხებიან ლიტვინოვის ინტერვიუს. ზაუერვეინი გაზეთ „მატენში" აღნიშნავს, რომ თუ ლიტვინოვის განცხადება არის ოინი, ყოველ შემთხვევაში იგი „გაბედული და ბრწყინვალე ოინია" ლიტვინოვმა, განავრძობს კორესპონდენტი, თავისი განცხადებით თავიდანვე დაარღვია ასე მტკიცედ აგებული შენობა მოკავშირეთა დელეგაციებისა. ჩვენმა ექსპერტებმა, სწერს ზაუერვეინი, გადაწყვიტეს, დაუსვან რუსებს საიდუმლოთ და ბეჯითად შედგენილი საკითხები, მხოლოდ შემდეგ იმისა, თუ მიღებული იქნება დამაკმაყოფილებელი პასუხი, ნელ-ნელა და ფრთხილად მიუდგნენ კრედიტის საკითხის განხილვას. ლიტვინოვმა კი თავიდანვე განაცხადა: „თუ არ იქნება კრედიტები, მაშინ არ იქნება აგრეთვე არავითარი მოლაპარაკებაც". ზაუერვეინი ფიქრობს, რომ კონფერენცია იწყება ერთ ხელსაყრელ პირობებში, ვინაიდან იმ პირებს შორის, ვისაც ჰსურს ინფორმაცია და ვისაც—ფულები, ძნელია შეთანხმების მიღწევა.

გაზ. „ჟურნალ დედებას" კორესპონდენტი დეპეშით იტყობინება, რომ რუსეთის დელეგაცია მხოლოდ იმ მიზნით ჩამოვიდა ჰააგაში, რომ მიიღოს კრედიტები, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ისევ უკან გაემგზავრება.

გაზეთ „დეილი ტელეგრაფის" კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ რუსეთის შინაური მდგომარეობა საშინელია და სწორეთ ამიტომ ცდილობს ლიტვინოვი მიიღოს კრედიტები. კორესპონდენტი აკრიტიკებს საბჭოთა ახალ დეკრეტებს, რომელზედაც ლაპარაკობდა ლიტვინოვი და აცხადებს, რომ ისინი მაინც მასზე სტოვებენ ძველ მესაკუთრეებს. რუსეთის გუშინდელ ნოტაზე ჯერ-ჯერობით არაფერი სწერია პრავდაში, გარდა რეაქციონურ გაზ. „მორნინგ პოსტისა", რომელიც ამ ნოტას „საზიზღარის" სახელწოდებით ნათლავს.

ჰააგა. 27 ივნისი (რუსეთის დელეგაციის პრესბიუროს კაბლოგრამა). ინგლისურ პრესაში დღეს მოყვანილია სავსებით ლიტვინოვის ინტერვიუ ყოველგვარ კომენტარიების გარეშე. მხოლოდ გაზეთი „დეილი ტელეგრაფი" აღნიშნავს, რომ ლიტვინოვის ინტერვიუმ დაამსხვრია ყველა იმედები დანარჩენ დელეგაციებისა, რომელთაც სურდათ კონფერენციის მუშაობა სასტიკი საიდუმლოებით მოეცვათ.

რადიო-დეპეშები

(„კავროსტა")

გერმანიის ამბები

ერთი ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან

ბორდო. 10 ივლისი (რადიო). რეიხსტაგის იურიდიულმა კომისიამ ამოშალა რესპუბლიკის დაცვის კანონპროექტებიდან მუხლი ყოფილი სამეფო გვარეულობის წევრთა გერმანიიდან განდევნის შესახებ.

ბორდო. 10 ივლისი (რადიო). რეიხსტაგის იურიდიულმა კომისიამ შესწორა რესპუბლიკის დაცვის კანონპროექტი. მუხლი მოხელეების შესახებ შეცვლილია იმნაირად, რომ რესპუბლიკის წინაშე დამნაშავე მოხელეები არ იქნებიან გადაყენებულნი თანამდებობიდან და არ განიდევნებიან გერმანიის საზღვრებიდან, ხოლო დროებით ან სამუდამოდ იქნებიან გადაყენებულნი, მაგრამ გერმანიის საზღვრებიდან კი არ იქნებიან განდევნილნი.

სიტყვებია.

ბორდო. 10 ივლისი (რადიო). მაინის ფრანკ შეიდემანი მოითხოვდა თავგადადებულ ბრძოლას რეაქციის წინააღმდეგ და რეიხსტაგის გაშვებას.

კოალიცია.

ბორდო. 10 ივლისი (ბორდო). მეუმრავლესეთა სოციალისტები ჯერ კიდევ უარს ამბობენ მთავრობაში სახალხო პარტიასთან თანამშრომლობაზე.

ანტანტა და გერმანია.

მორატორიუმი.

ნაუენი. 10 ივლისი (რადიო). გერმანიის მთავრობამ გადასწყვიტა ითხოვოს მორატორიუმი კომისიის აღდგენის შესახებ. ამის გამო შაბათს პარიზში გაემგზავრა სტატს ეკრეტარები ფიშერი და ბრედერი.

ბორდო. 10 ივლისი (რადიო). შანცერი და პუანკარე თავიანთ თათბირის დროს ოდნავ შეეხენ საკონტრიბუციო საკითხებს და მიაღწიეს შეთანხმებას, რომ თუ გერმანია ხელახლა მოითხოვს მორატორიუმს, მაშინ მოკავშირეები გამოარკვევენ გერმანიის ნამდვილ გადახდის უნარიანობას, მაგრამ ამის გამორკვევას ისინი გადასდებენ გარანტიათა კომისიიდან მოხსენების მიღებამდე, რომელიც ეხება ფინანსიურ კონტროლს.

შეჯახება რეიხსტაგში და ლანდტაგში.

ნაუენი. 8 ივლისი (რადიო). რეიხსტაგის და პრუსიის ლანდტაგის სხდომებზე რესპუბლიკის დაცვის და ამნისტიის კანონპროექტის განხილვის დროს, კომუნისტებმა და დამოუკიდებელმა სოციალისტებმა სასტიკათ გაილაშქრეს ნაციონალისტების წინააღმდეგ. უწესოების თავიდან ასაცდენად ორთავე პარლამენტში თავმჯდომარეებმა შესწყვიტეს სხდომა.

მდგომარეობის გართულება.

ნაუენი. 8 ივლისი (რადიო) ცენტრმა და დემოკრატებმა შეკითხვით მიმართეს სახალხო პარტიას, თანახმაა თუ არა ის შევიდეს მთავრობის კოალიციაში. სახალხო პარტიამ დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა. ამ თანხმობას შეუძლია გამოიწვიოს შინაგანი მდგომარეობის გართულება დამოუკიდებლების და კომუნისტების მხრით.

ხმები ვიდფელდის დანიშვნის შესახებ.

ნაუენი. 8 ივლისი (რადიო). გერმანიის საელჩო ვაშინგტონში უარჰყოფს ხმებს შეერთებულ შტატებში გერმანიის ელჩის ვიდფელდის გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ. ვიდფელდი ამ დღეებში დაბრუნდება ვაშინგტონიდან.

სესხი გერმანიისათვის.

ნაუენი. 8 ივლისი (რადიო). ლორდ კანცლერმა ინგლისის თემთა პალატაში განაცხადა, რომ მორგანის კომისიის მოხსენების შემდეგ მთავრობას ვერ გაურკვევია, როგორი ნაბიჯები იქნება გადადგმული გერმანიისათვის საერთაშორისო სესხის მიცემისათვის.

გერმანიის მუშები რონაზე.

ნაუენი. 8 ივლისი (რადიო). ქრისტიან მუშების ორგანიზაციის გაზეთს „დერ დეიტშე"-ს მოყავს რა გერმანიის მუშების რონაზე სამუშაოში გამოყენების გეგმა, უწოდებს ამ მუშაობის პირობებს მონობასთან დაახლოვებას. გაზეთი ამბობს, რომ როდესაც გერმანია თავის მუშებს აწვდიდა დანგრეულ რაიონების აღსადგენად,—საფრანგეთი არ ღებულობდა ამ წინადადებას. ამ ჟამად, საფრანგეთი ადგენს მუშაობის თავის საკუთარ გეგმას გერმანიის დამამცირებელ ფორმებში და მიზნად ისახავს წმინდა საფრანგეთის ინტერესებს. ამის გამო ამ მუშაობას, გაზეთის აზრით არ ექნება ნაყოფიერი შედეგი.

განიარაღების საკითხი.

ბორდო 8 ივლისი (რადიო). სტატსსეკრეტარი ხიუზი იწონებს ლორდ რობერტ სესილის მიერ წამოყენებულ წინადადების განიარაღების საკითხის შესახებ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამანშის გვირაბი.

ნაუენი. 8 ივლისი (რადიო). იმ გარემოების მიხედვით, რომ ინგლისის ზოგიერთი წრეები წინააღმდეგი არიან ლამანშის გვირაბის გაყვანის, ლოიდ ჯორჯს არა აქვს განზრახვა განიხილოს ეს საკითხი პუანკარესთან შეხვედრის დროს.

გარდენზე თავდასხმის შესახებ.

მოსკოვი. 11 ივლისი (რადიო). დაპატიმრებულია მაქსიმილიან გარდენზე თავდასხმის მომწყობი, წიგნების გამომცემელი ოლდენბურგი.

გერმანიის კაბინეტის კონსტრუქცია.

მოსკოვი. 11 ივლისი (რადიო). გერმანიის კოალიციონურ პარტიების 8 ივლისის სხდომაზე, ირჩეოდა საკითხი კაბინეტის რეფორმის შესახებ. ცენტრის დემოკრატები სცდილობდენ თავიანთ გამოსვლებში არ ეხმარათ სიტყვა „რესპუბლიკა“.

ესერების პროცესი

ესერების სამხედრო მუშაობა

მოსკოვი. 11 ივლისი (რადიო). 10 ივლისის დილის სხდომაზე ციმბირის გლეხთა კავშირის საკითხის შესახებ, დაკითხულ იქნენ მოწმენი დიაკონოვი და იუდინი. უფრო ვრცელ და სწორ ცნობებს იძლევა მოწამე იუდინი, რომელიც შედიოდა ციმბირის გლეხთა კავშირის საინიციატივო ჯგუფში. კავშირის მოწყობა განზრახული იყო მთელ ციმბირის მაშტაბში. მთავარი მისი მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის ხალხური ხელისუფლების ფრონტის დაპირისპირება. ეს ლოზუნგი გულისხმობდა შეიარაღებულ ბრძოლას „უჩრედილკის“ დასაცავად, გლეხთა მასიურ მოძრაობის დახმარებით.

როდესაც მოწამე იუდინი გადავიდა ომსკში და მუშაობდა გლეხთა კავშირის მოსაწყობად, მაშინ ის პროგრამა, რომელიც გამომუშავებულ იქნა ნოვო ნიკოლაევსკში, სავსებით შეუთანხმდა სახალხო სოციალისტურ პარტიის პროგრამას. იუდინი ამტკიცებს, რომ ესერების ციმბირის საოლქო კომიტეტი წავიდა წინააღმდეგ კრასნოიარსკის (გამოტოტოვებულია)... მუდამ იყო ესერების პარტიაში. ამ მონაწილეობის წინააღმდეგ კავშირში პარტიული ორგანიზაციები არ მიდიოდენ. მოქმედების პირველი დღიდანვე გლეხთა კავშირის კომიტეტმა მოაწყო კავშირი ყოფილ სამხედრო პირთა სამხედრო ორგანიზაციასთან და იმ პირებთან, რომელნიც იყვნენ წითელ არმიის სამსახურში. სამხედრო ორგანიზაციის თავმჯდომარე იყო გაუსტომესოვი.

მოწმეების ჩვენების შემდეგ თავმჯდომარე აძლევს წინადადებას ბრალდებულთ წარმოადგინონ თავისი განმარტებანი. ბრალდებულთა სახელით პირველად გამოდის რაკოვი; რომელიც ამბობს: ესერების პარტიის სრულიად ციმბირის ყრილობა 1919 წლის მაისში და ივნისში მოქმედებდა მხოლოდ და მხოლოდ ცეკას დირექტივების მიხედვით რეაქციასთან ბრძოლის სფეროში. ციმბირში შემუშავებულ იქნა კოლჩაკის ჩამოგდების კონკრეტული გეგმა. დაადგინა რა ებრძოლოს მას ყველა იმ მეთოდებით, რომელსაც პარტია ხმარობდა თვითმპყრობლობის დროს, ესერებმა მოაწყეს კოლჩაკის ფრონტის ზურგში აჯანყება, ნოვო-ნიკოლაევსკში იმათ ააფეთქეს რკინის გზის ლიანდაგი. კრასნოიარსკში და ირკუტსკში აჯანყების დროს ესერებმა შეიპყრეს კოლჩაკი“.

რაკოვი გადაჭრით უარყოფს ესერების პარტიის ყოველივე დამოკიდებულებას ციმბირის ტერიტორიაზე აღმოცენებულ გლეხთა კავშირებთან. რაკოვი ამბობს, რომ კოლჩაკის დამარცხების შემდეგ, მისი არმიის მრავალრიცხოვანი ნაწილები შეიჭრენ ციმბირის შიგნეულ ნაწილებში. რეაქციის ძალები მიმართული იქნა ამ ნაწილების გაერთიანებისაკენ (გამოტოვებულია)... ასეთ პირობებში უპარტიო გლეხთა კავშირების მოწყობა ნიშნავდა რეაქციისათვის წინდაწინ მოფიქრებულად დახმარების აღმოჩენას. ამიტომ ესერების პარტიის ციმბირის ორგანიზაციას დასაშვებად მიაჩნდა მხოლოდ სოციალისტურ გლეხთა კავშირები.

აყალიბებს რა რაკოვის განმარტებას, სახელმწიფო ბრალმდებელი კრილენკო მიდის იმ დასკვნამდე, რომ ციმბირის პრაქტიკული პირობები ხელს უშლიდენ ესერების პარტიას ეწარმოებინათ ბრძოლა ძალაუფლებისათვის, და აიძულა ესერები გადაეცათ ხელისუფლება საბჭოებისათვის, ობიექტიურ პირობების გამო.

კაპიტალიზმის სამეფოებში

რუსეთი და ანტანტა.

რუსეთის დახმარება.

რომი. 7 ივლისი (რადიო). ცარიცინიდან მიღებული ცნობების თანახმად, იტალიის წითელი ჯვრის საზოგადოების მისიამ, საბჭოთა მთავრობის შემწეობით დაიწყო თავის მუშაობა დამშეულთათვის დახმარების აღმოსაჩენად.

ზემო-სილეზია.

მოწოდება მშვიდობიან ცხოვრებისაკენ.

ნაუენი. 7 ივლისი (რადიო). კანცლერ ვირტმა ზემო-სილეზიის მცხოვრებლებს მიმართა მოწოდებით, რომელშიც იგი მოუწოდებს მცხოვრებლებს მოერიდონ ყოველგვარ გამოსვლებს უცხოელ ჯარებისა და ხელისუფლების წინააღმდეგ ვინაიდან ეს უკანასკნელები დასტოვებენ ამ მხარეს რამოდენიმე დროის შემდეგ და ამიტომ ყოველგვარ გამოსვლას დიდი ზიანი შეუძლია მოუტანოს—როგორც ზემო სილიზიას, ისე მთელ გერმანიას.

გენერალ ლერანის გამგზავრება.

ნაუენი. 7 ივლისი (რადიო). ქვირას ზემო სილეზიიდან გაემგზავრა გენერალი ლერანი.

[illegible]

გაფიცვა რიგაში.

მოსკოვი. 7 ივლისი (რადიო). პურის მცხობელთა გაფიცვა რიგაში გრძელდება. გაფიცულია 123 ფურნე.

ფინლიანდიაში.

მოსკოვი. 7 ივლისი (რადიო). ფინლიანდიის სეიმის არჩევნების დღემ მისცა სოციალ-დემოკრატებს 14.087 ხმა, ხოლო კომუნისტებს 12.800. სულ პირველ დღეს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 73.000 კაცმა. პრესა აღნიშნავს ამომრჩეველთა მნიშვნელოვან აბსენციეიზმს, რომელსაც უფრო ნაკლებათ აქვს ადგილი მუშათა წრეებში.

გაზეთების გაფიცვა გერმანიაში.

მოსკოვი. 7 ივლისი (რადიო). გაზეთების გაფიცვა ბერლინში თანდათან ძლიერდება. შესაძლებელია გაფიცვა მოედვას პროვინციასაც.

ბრძოლა კომუნისტების წინააღმდეგ.

მოსკოვი. 7 ივლისი (რადიო). შრომის საერთაშორისო კონფერენციის მეორე კონგრესზე დარაგონამ წარმოსთქვა წმინდა კონტრ-რევოლიუციონური სიტყვა, აღსავსე სასტიკი ცილისწამებით, კომუნისტების წინააღმდეგ და მოუწოდებდა აუდიტორიას ბურჟუაზიასთან თანამშრომლობისაკენ.

პოლონეთის მარკა.

მოსკოვი. 7 ივლისი (რადიო). გაზეთი „პოარანა“ იტყობინება, რომ პოლონეთის ფინანსთა სამინისტრომ დეპეშა დაუგზავნა ბანკებსა და ბირჟებს, რომელშიც იგი წინადადებას აძლევს მათ სამი დღის განმავლობაში არ შეიყიდონ უცხოეთის ვალიუტა, რათა ამით განამტკიცონ პოლონეთის მარკის კურსი. გაზეთი აღნიშნავს, რომ ფინანსთა სამინისტროს ამ თამაშს აშკარა მიზანი აქვს. მას სურს ხელოვნურად გაადიდოს მარკის კურსი, ახალი პრემიერის სეიმში პირველი გამოსვლის გამო.

დომბალის პროცესი.

მოსკოვი. 7 ივლისი (რადიო). გაზეთი „რაბოტნიკაში“ მოყვანილია ანგარიში დომბალის პროცესის მესამე დღის შესახებ. გაზეთი სწერს, რომ სასამართლოს წინაშე ჩნდებიან მოწმეები გლეხობის დემოკრატიული პარტიის წევრები, რომელთაც არ ესმით ამ პროცესის მნიშვნელობა და რომელნიც ვერ ერკვევიან საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ საკითხებში.

ქალაქის საბჭოს ხმოსანი დელიტოვსკი იმდენად ერთი-[illegible] საწინააღმდეგო ცნობებს იძლეოდა, რომ სასამართლომ იგი შეაჩერა.

მიტინგის ყოფილი თავმჯდომარე იავოროვსკი აღნიშნავს, რომ დომბალის სიტყვა უფრო მიმართული იყო პოლონეთის სოციალისტური პარტიის წინააღმდეგ, ვინემ მთავრობის წინააღმდეგ. იავოროვსკის არ მიაჩნდა საჭიროდ ორატორის გაჩერება.

დომბალის საარჩევნო ოლქიდან გამოწვეული მოწმეები ახასიათებენ მას, როგორც საზოგადო მოღვაწეს.

გაზეთი „რეჩ პოსპოლიტა“ ათავსებს რა დომბალის ჩვენებას აღნიშნავს იმას, რომ დომბალი არ უარყოფდა თავის სოციალური რევოლიუციისადმი მიდრეკილებას, მაგრამ ასეთი განცხადებას სრულებითაც არ უნდა შევხედოთ ისე, როგორც შეთქმულობას, სასამართლოს, რომელსაც სურს იხელმძღვანელოს მეფის კოდექსით, არ შეუძლია უარყოს კომუნისტური მოძრაობის მასიური ხასიათი და დაახშოს ხალხის მასების ნებისყოფა.

მოწმე-ლანციდკი ამბობს, რომ დომბალი თავის სიტყვაში ლაპარაკობდა საზოგადოებრივი კაცკალიზმისა, აუცილებლობისა და სახელმწიფოთა შორის ანტაგონიზმის გაძლიერების შესახებ.

პოლონეთის პროფკავშირთა შორის.

მოსკოვი. 7 ივლისი (რადიო). პოლონეთის პროფკავშირთა საბჭომ გაუგზავნა შინაგან საქმეთა მინისტრს მემორანდუმი, რომელშიც იგი პროტესტს აცხადებს საბჭოს შენობაში ჩხრეკის მოხდენის წინააღმდეგ.

— მქსოველთა პროკავშირების მთავარმა სამმართველომ გაუგზავნა მოთხოვნილება წარმოების მეპატრონეებს, რომელშიც იგი მოითხოვს სამუშაო ხელფასის 50 პროც. გადიდებას. წარმოების მეპატრონეებმა უარყვეს ეს მოთხოვნილება. დადგენილ იქნა გამოაცხადონ გაფიცვა მთელ საქსოვ მრეწველობაში 7 ივლისიდან.

ერთა ლიგა.

ბორდო 7 ივლისი (რადიო). ერთა ლიგის ივლისის სხდომებს ლონდონში ექნება განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგანაც მაშინ გაირჩევა საკითხი მანდატების შესახებ, რომელიც ირჩეოდა შეერთებულ შტატებთან ერთად.

გერმანიის ფინანსები.

ნაუენი 8 ივლისი. (რადიო). ბრიტანეთის მთავრობის წევრები ჩააფიქრა გერმანიის მდგომარეობამ, რადგანაც მარკის კურსი კვლავ დაეცა. ფიქრობენ რომ მარკის კურსის ამ ახალ დაცემას შეუძლია სერიოზული შედეგები გამოიწვიოს. კაბინეტს სწამს, რომ გერმანიის მთავრობას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია გაუძლვეს გერმანიის ფინანსებს, თუ საკონტრიბუციო მოთხოვნილებათა შემცირებისა და ვერსალის ხელშეკრულობის გადასინჯვის ცდა ნაყოფიერად დამთავრდება.

მარკი კურსის დაცემის მიზეზი.

ნაუენი. 8 ივლისი (რადიო) ლონდონის გაზეთ „მორნინ პოსტის“ კომერციულ განყოფილების რედაქტორი ფიქრობს, რომ გერმანიის ვალიუტის დაცემა გამოწვეული უნდა იყოს საკონტრიბუციო მოთხოვნილებათა სიმკაცრიდან.

გერმანიის აღორძინება.

ნაუენი 8 ივლისი (რადიო). „გერმანიის საერთო ელექტრონურის კომპანიის“ დირექტორმა დეიჩმა გაზეთ „ვესტმინისტერ გაზეთის“ თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მას ძალიან მცირე იმედი აქვს გერმანიის აღორძინებისა და ფიქრობს, რომ გერმანიაც დადგება ავსტრიის გზაზე.

რეპრესიები ნაციონალისტების წინააღმდეგ.

ბორდო 8 ივლისი (რადიო) ნაციონალისტური ორგანიზაციების დახურვა გრძელდება. ლეიპციგში დახურეს „შეურიგებელთა“ ნაციონალისტური ორგანიზაცია და აგრეთვე გერმანიის არმიის ნაციონალისტური კავშირი.

ბრაზილიის აჯანყება.

ბორდო 8 ივლისი (რადიო). ბრაზილიის აჯანყება სავსებით ჩააქვრეს. რიო-დე-ჟანეიროში გამოცხადებულია საალყო წესები. მარშალ ფანეიკის შვილი, რომელიც სარდლობდა აჯანყებულთა რაზმებს და ფორტ კაპაბლანკას, დაპატიმრებულია.

ავსტრია

რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს

ბორდო, 10 ივლისი. (რადიო). პუანკარესთან საუბრის დროს შანცერმა მიაქცია ყურადღება ავსტრიის მდგომარეობას, რომელსაც შეუძლია მოჰყვეს სერიოზული შედეგები, როგორც მაგ. გერმანიასთან შეერთება ან რეჟიმის გამოცვლა. საჭიროდ იქნა ცნობილი თავის დროზე აღმოეჩინოს ავსტრიას დახმარება, მაგრამ ამ დახმარების ხასიათის საკითხი ღიად დარჩა.

შეთანხმება იტალიასთან

რომი. 10 ივლისი. (რადიო). ვენის პრესა იტყობინება, რომ რომში განახლდა მოლაპარაკება იტალიასა და ავსტრიის შორის საფინანსო და სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ.

იტალია

პაპის ჟანდარმების აჯანყება

ნაუენი. 10 ივლისი (რადიო). პაპის ჟანდარმებმა გამოაცხადეს ურჩობა, იმის გამო, რომ უარი უთხრეს მათი მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. როდესაც შვეიცარიელებს ნაბრძანები ქონდათ ჟანდარმების განიარაღება, პირველებმა ურჩობა განაცხადეს, მიუხედავად მათი ერთგულებისა პაპისადმი.

ამის გამო პაპის ჟანდარმერიის კომანდირი გრაფი ჩეკოპიერი, დანამდვილებით თანამდებობიდან გადადგება.

მელითონეთა გაფიცვა

ნაუენი, 10 ივლისი (რადიო) ფიქრობენ, რომ მელითონეთა გაფიცვა დამთავრდება, მოლაპარაკების სასურველად დაბოლოვების გამო.

შანცერის გამგზავრება

ნაუენი. 10 ივლისი (რადიო). შანცერი გაემგზავრა ლონდონიდან ისე, რომ აღმოსავლეთის საკითხში ვერ მიაღწია სრულ შეთანხმებას, თუმცა ხმელთაშუა ზღვის, მცირე აზიის და აფრიკის საკითხში ინგლისის და იტალიის აზრი ერთმანეთს შეუთანხმდა... დანარჩენი საკითხები განმარტებულნი იქნება ექსპერტების მიერ. იტალიას სურს აღმოსავლეთის კონფერენციის გადადება, რომელიც მოწვეულ უნდა იქნეს ივლისის დამლევს.

პუანკარესთან შეხვედრა

ბორდო. 10 ივლისი. (რადიო). ლონდონიდან რომში გამგზავრების დროს შანცერი გაჩერდება პარიზში და გამართავს მოლაპარაკებას პუანკარესთან.

არ შეუძლიათ შეთანხმდნენ.

ბორდო. 10 ივლისი (რადიო). შანცერის და პუანკარეს თათბირის დროს, უკანასკნელმა განაცხადა, რომ ინგლისს, საფრანგეთსა და ისპანიას დაუსაბუთებლად მიაჩნიათ იტალიის მოთხოვნილება, ტანჟერის კონფერენციაზე მონაწილეობის შესახებ, იტალიასა და საფრანგეთს შორის ადრევე მომხდარ შეთანხმების გამო, რომელშიაც გათვალისწინებულია, რომ ფრანგები არ არიან დაინტერესებულნი ტრიპოლიტანიით, ხოლო იტალიელები მაროკკოთი. მაგრამ შეთანხმება ტანჟერის შესახებ, როდესაც იგი იქნება გამომუშავებული ინგლისის, საფრანგეთის და ისპანიის მიერ, ეცნობება ყველა სახელმწიფოებს, რომელთაც ხელი მოაწერეს ვერსალის ხელშეკრულებას, ყოფილ მტრების გამოკლებით.

ლოიდ-ჯორჯის და შანცერის მოლაპარაკება.

რომი. 10 ივლისი (რადიო). ლოიდ-ჯორჯის და შანცერის მოლაპარაკების გამო, იტალიის პრესა ამტკიცებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმება არ იქნა მიღებული, ის საკითხები, რომელნიც იტალიას აინტერესებდა, მეგობრულად იქნა გაშუქებული. პრესა მოელის, რომ ლონდონში გამართული თათბირი საბოლოვოდ გამოარკვევს ინგლის-იტალიის ურთიერთობას.

პოლონეთი.

მცხოვრებთა შემადგენლობა.

ნაუენი. 10 ივლისი (რადიო). სტატისტიკური ცნობების მიხედვით პოლონეთის მცხოვრებთა რიცხვი უდრის 25 მილიონს. ამ რიცხვიდან 31,6 პროც. პოლონელია.

ახალი კაბინეთის გადადგომა.

ბორდო. 10 ივლისი (რადიო). მიიღო რა ხმის უმცირესობა პრემიერ სლივინსკის დეკლარაციის შემდეგ, პოლონეთის კაბინეთი გადადგა.

რუმინია.

გატანის აკრძალვა.

ბორდო. 10 ივლისი (რადიო) აკრძალულია გატანა რუმინიიდან ხორბლეულისა და სელისა. შვრიას და თივის გატანა ნებადართულია, მხოლოდ კვინტალზე 200—500—2000—5000 ლეის გადახდევინების შემდეგ.

ამერიკა.

არეულობა.

ბორდო. 10 ივლისი (რადიო). რკინის გზელთა გაფიცვა იწვევს არეულობას. ჩიკაგოში გაფიცულთა და შტრეიხბრეხერების შორის მოხდა შეტაკება. მოკლულია 2 კაცი.

უცხოეთის ცხოვრება

ირლანდიის პარლამენტში

ირლანდიის დროებითი პარლამენტის არჩევნები დამთავრდა; ირლანდიის დროებითი კონსტიტუცია გამოქვეყნებულია. თითქოს უახლოვდება დასასრულს ის ტრაგედია, რომელიც რამოდენიმე საუკუნეა რაც გრძელდება და რომელსაც ეწოდება ბრძოლა ირლანდიის ხალხისა თავისი დამოუკიდებლობისათვის. თუმცა არჩევნების საბოლოო შედეგები ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული, მაგრამ ხმების წინასწარი დათვლა ცხადათ გვაჩვენებს, რომ ინგლის-ირლანდიის შეთანხმების მომხრეთ ხვდა წილად გამარჯვება. მაშასადამე, გამარჯვება წილად ხვდა მიმდინარეობას, რომელიც დათანხმდა შეეწყვიტა ბრძოლა იმ ხაზზე, რომელიც საზღვრავს ირლანდიის შესვლას თვითმართველ „დომინიუმების“ ოჯახში, რომელნიც შეადგენენ ბრიტანეთის იმპერიას. ბოლომდის ომის მომხრენი, რომელნიც უარყოფენ ირლანდიას თუ იგი დამოუკიდებული რესპუბლიკა არ იქნა და რომელთაც ინგლისთან დამოკიდებულება წარმოდგენილი აქვთ, მხოლოდ და მხოლოდ როგორც მეგობრულად განწყობილ სახელმწიფოსთან დამოკიდებულება, რომელთანაც ირლანდიას აკავშირებს განსაკუთრებით ეკონომიური ხასიათის ინტერესები და არა პოლიტიკური რამ,—სასტიკად და სავსებით დამარცხდენ. ბევრი მათი მეთაურები, როგორც მაგალითად გრაფინია მარკევიჩი, არც კი გასულან პარლამენტში.

ეს შედეგი მოსალოდნელი იყო. იგი პირველ-ყოვლისა შეიძლება ავხსნათ პსიხოლოგიურად. ქვეყანა დაიღალა სამოქალაქო სისხლისმღვრელი ომისაგან, ინგლისის დამსჯელ რაზმებთან ბრძოლისაგან და სურს ამ გარემოებიდან იხსნას თავი თუ გინდ ინგლისის მეფისათვის ფიცის მიცემის ფასითაც კი. და თუ გინდ იმ ფასით, რომ დუბლინის სამეფო სასახლეში იცხოვრებს არა რესპუბლიკის პრეზიდენტი, არამედ მეფის მოადგილე, რომელსაც ექნება ისეთივე უფლებები, როგორც მაგალითად კანადის ან ავსტრალიის გენერალ-გუბერნატორის. ამ დაღლილობის საუკეთესო გამომხატველი არის ის საოცარი აბსენციეიზმი, რომელსაც ადგილი ქონდა ირლანდიის დროებითი პარლამენტის არჩევის დროს და რომელიც აღწევდა ზოგიერთ რაიონებში 50—60 პროც. საერთოდ უნდა ითქვას რომ აბსენციეიზმი თანამედროვე პარლამენტარულ ქვეყნებში არ არის იშვიათი მოვლენა. მაგრამ ამ შემთხვევაში ამ არჩევნებს ქონდა ხასიათი რეფერენდუმისა, ხალხისათვის დაკითხვისა, რომელსაც უნდა გამოერკვია, ეს ხალხი მომხრეა თუ წინააღმდეგი ინგლისთან ხელშეკრულების დადებისა. სამოქალაქო ომის ცეცხლში და დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ მკაცრ ბრძოლაში პოლიტიკურად გამობრძმედილნი, ირლანდიის ამომრჩეველნი, თითქოს, გამოუკლებლივ უნდა მისულიყვნენ საარჩევნო ყუთთან, რათა საბოლოოდ გადაეწყვიტათ ირლანდიის სახელმწიფოებრივი წესწყობილების საბოლოო ფორმა. თუ ბევრმა მათგანმა ეს არ ჩაიდინა, თუ ბევრმა ამათგანმა ამ შემთხვევაში გამოიჩინა პოლიტიკური პასივობა უფრო მეტი, ვინემ, მაგალითად, პოლონელ ამომრჩევლებმა დამოუკიდებელ პოლონეთის სეიმის პირველი არჩევნების დროს, ყოველ შემთხვევაში ეს არ არის ირლანდიის ხალხის პოლიტიკური მოუწიფელობის დამამტკიცებელი საბუთი, არამედ იგი არის სიმპტომი დაღლილობისა ან და სურვილი იმათი პასიურათ დახმარებისა, ვინც უპირატესობას აძლევს ინგლისთან ცუდ ხელშეკრულობის დადებას, კეთილი ბრძოლის განგრძობაზე, როდესაც სისხლით ირწყვებოდა მწვანე კუნძულის ნიადაგი.

მაგრამ არის ამ აბსენტეიზმში და პოლიტიკური ბრძოლების დამთავრების სურვილში კიდევ მეორე მომენტი, რომელსაც აუცილებლად აღნიშნავს ხოლმე ყველა ის, ვინც თვალყურს ადევნებს თანამედროვე ირლანდიის პირობების განვითარებას. ირლანდიაში ამდენხანს ხალხის მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისაკენ, რომლის დროსაც სრულებით განზე გადადებული იყო სოციალური ხასიათის საკითხები. უკიდურეს ნაციონალისტური პარტიის შინ-ფეინერების მეთაურები სრულებით არ აქცევდენ ყურადღებას თავის სამშობლოს სოციალურ განწყობილებას; მათ სოციალური საკითხები თითქმის არ აინტერესებდათ, რაიც, სხვათა შორის, სრულებით არ უშლიდა მათ, თავისი ნაციონალისტური მიზნებისათვის, სათანადოთ გამოეყენებიათ ის გარემოება, რომ ირლანდიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ეყრდნობოდა ირლანდიის გლეხობის ლენდ-ლორდისადმი სიძულვილს და ზიზღის და მით იკვებებოდა, ხოლო ეს უკანასკნელები კი უმთავრესად ინგლისელები არიან. მაგრამ ირლანდიის ბრიტანიის იმპერიის თვითმართველ ერთეულად გადაქცევით ეს მდგომარეობა არ იცვლება და დღეს უკვე ცხადია, რომ ირლანდიის ნაციონალისტები მისდევენ რა სოლიდარობის კლასიურ ინსტიქტს, გლეხობასა და ლეინდ-ლორდის შორის ბრძოლაში, დადგებიან წმინდა და ხელუხლებელი კერძო საკუთრების დაცვის ნიადაგზე. ყოველ შემთხვევაში ძირითად, მიწის რეფორმას, რომელიც არ შეიძლება განხორციელებულ იქნეს იძულებითი ჩამორთმევის გარეშე, ისინი ისეთსავე კატეგორიულ წინააღმდეგობას უწევენ, როგორსაც ისინი თავის დროზე უწევდენ ინგლისის მეფისათვის ფიცის მიღების საქმეს.

არა მეგობრული, რომ მეტი არა ვსთქვათ, დამოკიდებულება ირლანდიის მუშათა პარტიისადმი, მათზე ყოველთვის ბოლშევიკურ სიმპატიებში ეჭვის მიტანა ირლანდიის ნაციონალისტების მხრივ, რომელთაც ესმისთ ის, რომ მაშინ, როდესაც შეწყდება პოლიტიკური ბრძოლა საერთო მტრის დამჩაგვრელის, ინგლისის, წინააღმდეგ, რომ პოლიტიკური და სოციალისტური ბრძოლა მწვანე კუნძულზე კონსტიტუციის გამოქვეყნებისა და ირლანდიის პარლამენტის მოწვევის შემდეგ, მაინც არ შეწყდება. პირიქით იგი უფრო მეტის სიმკაცრით კვლავ განახლდება ახალი მოპირდაპირეთა შორის, სადაც პოზიციები და წინააღმდეგობანი უფრო მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული.

ირლანდია, მართლაც შევა თავისი ისტორიის გადამწყვეტ პერიოდში.

ამიერ-კავკასიის ფედერაცია

საქართველო

აჭარა

3 ივლისი (დეპეშით). ამ ბოლო დროს მოსულმა წვიმებმა კარგი გავლენა იქონია ნათესებზე. ნათესებისათვის გვალვის საშიშროება განვლილია.

მეტეოროლოგიურ სადგურის ცნობებით, ივლისიც ხელს შეუწყობს მოსავალს.

სისხლის აღება. ამ ახლო წარსულში ერთსა და იმავე დღეს მოხდა 4 შემთხვევა სისხლის აღების. (ორი მინდორში მყოფი გლეხი წაიჩხუბნენ). ერთმა გლეხმა რევოლვერით დასჭრა მეორე. დაჭრილის ნათესავებმა, როცა ვერ იპოვნეს დამალული ბოროტ მომქმედი, თავს დაესხნენ მის ნათესავებს. მოკლულია ერთი, დაჭრილია ორი. მცხოვრებლები უარყოფითად შეხვდნენ სისხლის აღების ამ შემთხვევას და დამნაშავენი მისცენ მთავრობას. დამნაშავენი გადაეცემა რევტრიბუნალის სასამართლოს.

სასურსათო გადასახადის კამპანია. აჭარას სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დეკრეტი № 5 ერთიან სასურსათო გადასახადის შესახებ, სხვა და სხვა ინსტრუქციებით და განმარტებებით რომელიც ეხება გადასახადის განხორციელების საკითხს. სასურსათო სახ. კომისარიატი ფიქრობს, რომ მომავალ სასურსათო გადასახადის კამპანიის ჩასატარებლად აჭარის რესპუბლიკისათვის უნდა დაწესდეს გადასახადის ჯამი არა ნაკლებ 25.000 ფუთი ხორბლისა და სთხოვს ერთად განიხილონ. გადასახადის შეცვლის ეკვივალენტი, რათა შეთანხმებელ იქნას იმ ეკვივალენტებს, რომელიც დაწესებულია მეზობელ მაზრებში. ყველა სამაზრო სამეულებს დაეგზავნათ ცირკულიარები, რომელიც ავალებს მათ, წარმოადგინონ პროექტი სასურსათო გადასახადის აკრეფის დროს ერთი პროდუქტის მეორე პროდუქტით შეცვლისა და ფულის ეკვივალენტის რაოდენობა. პროდუქტების შეცვლას საფუძვლად უნდა დაედვას ის რაოდენობა, რომელიც შემუშავებულ იქნა სასურსათო მუშაკთა 2 ე ყრილობაზე. ეს რიცხვი, შეიძლება შესწორებულ იქნას სამაზრო სამეულების მიერ, ადგილობრივ პირობების მიხედვით. შეცვლის ეკვივალენტი, რომელიც იქნა მიღებული მეორე ყრილობის მიერ შემდეგია: ერთ ფუთ ხორბლის მაგიერ—60 გირ. სიმინდი, 60 გირ. ქერი. 4 ფ. კართოფილი, 50 გირ. კერდიკა (შეიცავს 50 პროც. ხორბალს) 50 გირ. ლობიო, 4 გირ. ერბო, 10 გ. გაურეცხავი მატყლი, 50 გ. თხილი, 50 გ. ნიგოზი, 3 ფუთი დაფნის ფოთოლი, 1 ფ. და 20 გირ. კახური ღვინო, 2 ფ. იმერული ღვინო, 2 ფ. და 20 გირ. ბორჩალოს ღვინო, საკლავი საქონელი (არა ნაკლებ საშუალო სიმსუქნისა)—ძროხის ხორცი 30 გირ.—ცოცხალი წონით, —20 გირ., ცხვრის ხორცი. 15 გირ. ღორის ხორცი.

მეტყავეთა შორის. ივნისის თვის განმავლობაში მეტყავეთა კავშირის საორგანიზაციო განყოფილების მიერ წარმატებით ჩატარდა თავისუფალი წევრობის კამპანია. სატარიფო ეკონომიურ განყოფილების მიერ დადებულია სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ტყავეულობის სექციასთან კოლექტიური ხელშეკრულება, რომელსაც საფუძვლად დაედო სახელმწიფოს ულუფა, რომლის ღირებულება უდრის 1-ლ ხარისხის განაკვეთის 67 პროცენტს. შემუშავებულია და დამტკიცებული სამეურნეო ორგანოებთან ერთად სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ტყავეულობის სექციის სამმართველოს საწვრილმანო მაღაზიის და ლიბკნეხტის სახელობის 1-ლი საბჭოთა სახელოსნოს თანამშრომელთა შტატები. უკანასკნელში მოხდა შტატების შემცირება. გამომუშავებულია კოლექტიური ხელშეკრულებანი 1 და მე-2 ტყავის ქარხნის მოიჯარადრეებთან. მოხდა ტყავეულობის და წარმოებათა თანამშრომლების ხარისხებათ დაყოფა. უკანასკნელები ღებულობდენ ამდენ ხანს დაკმაყოფილებას არა შესრულებულ სამუშაოს კვალობაზე, არამედ სულთა რაოდენობის მიხედვით. შემუშავებულია მეტყავეთა სპეციალურ ტანთსაცმელის ნორმა. ჩექმის შეკერვის კურსები გადაკეთებულია და ხელახლა გაიხსნა 10 ივლისს. საურთიერთო დახმარების ფონდში ივნისში შემოვიდა 0,4 მილ. დამშეულთა სასარგებლოდ ცალკე გადარიცხვიდან შემოვიდა 200,000 მანეთი.

მოსავალი აჭარაში. მოსავლის პირი აჭარას თემებში 5 ბალიანი სისტემით 1 ივლისისათვის შემდეგია:

ქობულეთის მაზრა. ქობულეთის თემი სიმინდია 5, ლობიო—3, ბრინჯი—4, ჯაჯის თემი სიმინდი—2, ანეული ჭვავი—2, გაზაფხულის ჭვავი—3, ლობიო—3, ქართოფილი—3, ჩაქვის თემი: სიმინდი—5, ლობიო—5, ქართობილი—5, ბრინჯი—3, ლობიო—3.

ქვემო აჭარას მაზრა: მერისის თემი—გაზაფხულის ქერი—3, გაზაფხულის ჭვავი—3, ცხვრისის თემი: გაზაფხ. ხორბალი—3, გაზაფხ. ქერი—3, გაზაფხ. ჭვავი—3, შვრია—3, კედის თემი: გაზაფხ. ქერი—3, გაზაფხ. ჭვავი—3,

აჭარისწყალის მაზრა: დოლოენის თემი: სიმინდი 3, ლობიო 3, კართოფილი 3, მარადიდის თემი: სიმინდი 4, ლობიო 3, აჭარის აღმართის თემი—სიმინდი 3.

ბათუმის მაზრა: ორთაბათუმის თემი: სიმინდი 5, ლობიო 5, ქართოფილი 4, ბრინჯი 2, კაპანდიბის თემი—სიმინდი 4, ლობიო 5.

ხულოს მაზრა. დიდი აჭარის თემი: სიმინდი 4, ლობიო 4, კართოფილი 5, თუთუნი 5.

ბათუმი

ბათუმი, 8 ივლისი (დეპეშა). **პასუხისმგებელ ექსპედიტორების კავშირი.** ბათუმში მოეწყო პასუხისმგებელ ექსპედიტორების კავშირი, რომელსაც მიზნად აქვს საექსპორტო და საიმპორტო საქონლის ნორმალურ ექსპედიციის მოწესრიგება. კავშირმა შესაძლებლად სცნო საქონლის ექსპედიციაზე დააწესოს ფასი ორჯერ ნაკლები, კერძო კანტორებთან შედარებით. კავშირის მოღვაწეობამ უნდა დასცეს ბაზრის ფასები.

აფხაზეთი

სოხუმი. 9 ივლისი (დეპეშით). **აფხაზეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სესია.** 10 ივლისისათვის სოხუმში მოწვეულია აფხაზეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პირველი სესია.

ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა. სახალხო კომისართა საბჭომ გაიღო 1 მილიარდი მანეთი ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზის გასაყვანად. სოხუმი—მდინარე კოდორი, 20 ვერსის მანძილზე.

ამიერ კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის განყოფილების რევიზია. საგანგებო სარევიზიო კომისია შეუდგა ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატის განყოფილების რევიზიას.

პოლიტიკურ განათლების მთავარ განყოფილების ლიკვიდაცია. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა, გაუქმდეს პოლიტიკურ განათლების მთავარი განყოფილება და გადასცა მისი ფუნქციები განათლების სახალხო კომისარიატს და სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებას.

აფხაზეთის თეატრი. გაგრაში რუსეთის დამშეულთა დამხმარე კომიტეტის სასარგებლოდ დადგეს პირველად აფხაზეთი განათლების სახალხო კომისრის ამხ. შამბახს პიესა აფხაზურ ენაზე „ამხაჯიბი“. პიესა ჩატარდა საუცხოვოდ.

აზერბაიჯანი

ნავთის ფრონტზე. 30 ივნისს ყველა ადგილებზე ამოღებულია 504,000 ფუთი. 1 ივლისს აღებულია გადასაქაჩავად 328.000 ფუთი. მიღებულია გადაქაჩვისაგან 324.000 ფუთი, გაწმენდილია 12.000 ფ., გატანილია რკინის გზით 29 და 30 ივნისს 90.000 ფუთი. სულ ივნისის განმავლობაში (30 დღე). ამოღებულია 17,783,029 ფუთი, ნაკლები ვიდრე მაისში — 1.628.323 ფუთი.

2 ივლისს გატანილია ზღვით ბაქოდან ასტრახანში ნავთის შავი პროდუქტები 749,790 ფუთი. ნავთი 158,371 ფუთი. სვიატრის კუნძულიდან ასტრახანში ნავთის შავი პროდუქტები 195,554 ფუთი. პეტროვსკიდან ასტრახანში გროზნოს პარაფინის ნავთი 89,140 ფუთი.

ზღვით გატანა—ივნისის განმავლობაში. ივნისის განმავლობაში გატანილია ნავთის პროდუქტები: შავი—ბაქოდან ასტრახანში 17.977.969 ფუთი, ზეთი და ნავთი 3.326.750 ფუთი, პეტროვსკიდან ასტრახანში შავი პროდუქტები 3.516 329 ფუთი. სვიატრის კუნძულიდან ასტრახანში შავი 617.452 ფ. კუნძულ რატუშიდან ასტრახანში შავი—150.000 ფ. ბაქოდან კრასნოვოდსკში შავი—871.130 ფ. ბაქოდან ენზელში ნავთი 64.119 ფ. ბაქოდან მეშედესერში 29.391 ფ. სულ გატანილია 27.125.144 ფუთი რომლიდანაც ასტრახანში 25.588.500 ფ. კრასნოვოდსკში 1.442.534 და სპარსეთის ნავთსადგურებში 94.110 ფუთი.

ცენტრის დაკვეთის თანახმად, ივნისში განზრახული იყო ზღვით გასატანათ 26.066.773 ფუთი, ასე რომ გატანილ იქნა 1 მილიონი ფუთი მეტი.

„დიდი წარმატება“. ასეთი სათაურით ათავსებს „ბაქოს მუშა“ თავის მოწინავე წერილს 4 ივლისს. „უკანასკნელ რამდენიმე თვეების განმავლობაში ჩვენ ვურტყამდით ერთ წერტილში. მთელი პარტიული და საბჭოთა საზოგადოებრივი აზრი განუწყვეტლივ მოითხოვდა ცენტრისაგან

„აზნევთი“-სათვის ვაჭრობის, შინაურ და უცხოეთის ბაზარზე ნავთის პროდუქტების რეალიზაციის უფლების მიცემას. ამაში ჩვენ ვხედავთ ერთად ერთ საშუალებას ბაქოს ნავთის მრეწველობის გადარჩენისა, რომელიც უფულობას და ტეხნიკურ საშუალებათა სიმცირეს განიცდიდა. ჩვენს დასკვნას ბოლოს შეუთანხმდნენ სათბობი მასალის მრეწველობის ხელმძღვანელი ცენტრალური ორგანოები. „აზნევთ“-ს მიეცა უფლება შინაურ ბაზარზე ნავთის პროდუქტებით ვაჭრობის. სავაჭრო ოპერაციებიდან მოგებული თანხა მოხმარდება ნავთის მრეწველობის საჭიროებას და პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ნავთის მრეწველობის მუშებისთვის ხელფასის გაცემას. ნავთის მრეწველობის აღორძინების ძირითადი პერსპექტივა უკვე ნათლად სჩანს. ეხლა ყველაფერი დამოკიდებული იქნება „აზნევთის“ სავაჭრო ინიციატივაზე, მის კომერციულ აპარატებზე და ენერგიაზე.

მიბაძვის ღირსი მაგალითი. ამხ. ლენინის სახელობის ფაბრიკის ფეიქართა კავშირმა 2 ივლისს ჩააბარა აზ. ცენ. ალმასკომთან არსებულ დამშეულთა დახმარების ცენტრალურ კომიტეტს შემდეგი რაოდენობა მასალებისა, რომელიც დაამუშავეს ფაბრიკის მუშებმა რამდენიმე შაბათობაზე: ნარმა—18—1,152 არშინი, ნარმა—16—12,270 არშინი, ირლანდკი—570, მიტკალი—180, ტილო—648, ზეწარი—112 არშინი, ფანელი—56, ქაღალდის მატერია—102, ტილო—120, ბრიზენტი—72, სულ 15,482 არშინი.

კავშირი. სახალხო კომისართა საბჭომ გადასცა უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს გასარჩევად საკითხები ნახიჩევან ანგელაუტის ტელეგრაფის ხაზის გასაყვანად 19,850 მანეთი ოქროს, 805 მან. 90 კაპ ოქროს ჯებრაილ-ზანგიხს ბონის ქუბათლინის სამაზრო ალმასკომთან კავშირისათვის და ბაქო კრასნოვოდსკის წყალქვეშა ხაზის შესაკეთებლად ასიგნობის შესახებ.

რეკვიზიციის შესახებ. სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა იუსტიციის სახალხო კომისარიატს გამოსცეს დეკრეტი, რომ 1920 წელს ქართველ ქვეშევრდომების ჩამორთმეულ ქონებისთვის ბაქოს საბჭოს მიერ გაცემულ კვითარის მიხედვით კომპენსაცია არ გაიცემა.

კალიის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი კამპანია. კალიის წინააღმდეგ მებრძოლ მუშაკების კრების დადგენილების თანახმად მოწვეული კომისია იხილავდა იმ საკითხს, რომელიც დაკავშირებულია კალიასთან ბრძოლის კამპანიასთან ახალ სასოფლო სამეურნეო წელში. სცნეს საჭიროდ, რომ 1923 წელს კამპანიის ჩატარების დროს სერიოზული ყურადღება მიექცეს ინსტრუქტორთა შემადგენლობის მომზადებას, კალიასთან მებრძოლ ორგანიზაციის ყოველგვარ საშუალებებით თავის დროზე მომარაგებას, და ტეხნიკური და ადმინისტრატიული პერსონალის ფუნქციების განსაზღვრას. კამპანიის მუშაობის ნაყოფიერების ინტერესებისათვის საჭიროა ზომების მიღება აღერბეიჯანის იმ დაბალი ადგილების დეტალურად დათვალიერებისათვის, რომელშიაც ბუდობს კალია, და აგრეთვე აღერბეიჯანის მოსაზღვრე სპარსეთის მუღანის და შირაქის ველის ნაწილის დასათვალიერებლად. ორგანიზაციას სათავეში უნდა ედგას სრული უფლებებით აღჭურვილი პიროვნება უშუალოდ სახალხო კომისართა საბჭოსადმი მოხსენების გაკეთების უფლებით და კამპანიის შედეგებში პასუხისმგებლობა დაკისრებული. მას ეძლევა უფლება სესხების მოხმარისა. მის თანაშემწეებს, ერთს ადმინისტრატიულ ნაწილში, ორს სპეციალურში იწვევს ის თვითონ და ამტკიცებს მათ სახალხო კომისართა საბჭო.

შორაპნის მაზრის ცენტრი*)

გაზეთი „კომუნისტის“ 155 ნომერში, ა. წ. 9 ივლისიდან, მოთავსებულია სადისკუსიო წერილი შორაპნის მაზრის ცენტრის შესახებ. ამ წერილს, გარდა ფაქტიური შემცდარი მასალა—მოსაზრებათა, ახასიათებს ზოგიერთი არა საკადრისი და ეჭვის აღმძვრელი საპოლემიკო ფერები შესავალ ნაწილში. წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ შორაპნიდან მაზრის ცენტრის ჭიათურაში გადატანა ახალი ამბავი არაა, **რომ ნიკოლოზის დროსაც კერძო ინტერესების დასაკმაყოფილებლად სურდათ ცენტრის ჭიათურაში გადატანა, რომ ჯერ კიდევ იმავე ნიკოლოზის დროს, „კნეინა“** ელისაბედ წერეთლისამ მოინდომა ცენტრის გადატანა და მან „ერთ დროს დიდი ზიანი მიაყენა მაზრის მშრომელ გლეხკაცობას სამაზრო საავადმყოფოს საჩხერეში გადატანით“ და სხ. შემდეგ ავტორი წერს, რომ **„სამწუხაროდ ამავე საკითხმა 1917 წლ. რევოლიუციის შემდეგ მენშევიკების მართველობის დროსაც წამოჰყო თავი. ჭიათურაში მცხოვრებ მენშევიკებს დაებადათ სურვილი მაზრის გაპარტახებისა და მოინდომეს ცენტრის ჭიათურაში გადატანა. მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათო“.**

„დღეს ამ საკითხს კვლავ წამოუყვია თავი და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ამ მხრივ ნაბიჯიც გადაუდგამსო“—დასძენს წერილის ავტორი ხაზგასმულ სიტყვების შემდეგ.

ვინც იცნობს და გაეცნობა იმ მასალას, რომელიც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს მოეპოება ამ საკითხის შესახებ (იხ. საქმე № 12 ადმინისტრატიულ ერთეულთა შესახებ), ის დაინახავს, თუ რამ აიძულა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, შორაპნის მაზრის ცენტრის ჭიათურაში გადატანის საკითხი მორიგ საკითხად წამოეყენებია. ჩვენ მოვიყვანთ აქ მთელ რიგს დეპეშებისას და იმ მოხსენებათა მოკლე შინაარსს, რომელიც საქმეშია. ეს საჭიროა იმიტომაც, რომ დარწმუნდეს საზოგადოება და წერილის ავტორიც, ამხ. პიერი, რომ არც კლასიური მდგომარეობის, არც კერძო ინტერესის და რასაკვირველია, არც მშრომელი გლეხობის „გაპარტახების“ მხრივ არაფერი საერთო არა აქვს არც მენშევიკებთან, არც ბატონყმობის წარმომადგენელ „კნეინა“ ელისაბედ წერეთელთან და არც ნიკოლოზის დროინდელ სხვა კომბინატორებთან იმ პირებს, რომლებიც მოითხოვენ მაზრის ცენტრის გადატანას ჭიათურაში. მოითხოვენ სწორედ მაზრის **მშრომელი გლეხების და მუშების** და არა შორაპნის სპეკულიანტ-მიკიტანთა ინტერესების მიხედვით.

საქართველოს რევკომის თავმჯდომარის ამხ. მახარაძეს სახელზე თავის დროზე გამოგზავნილი დეპეშიდან ჩანს, რომ ჭიათურის რევკომი მომხრეა ცენტრის ჭიათურაში გადატანისა იმ მოსაზრებით. რომ ჭიათურა გეოგრაფიული ცენტრია, შორაპანი კი არა, ჭიათურის და საჩხერის რაიონის სივრცე უდრის 1050 ოთხ. ვერს, დანარჩენი სამი უბნისა კი 1569. მცხოვრებთა რაოდენობაშიც არაა დიდი განსხვავება—ჭიათურა საჩხერის რაიონშია 11,543 კომლი, დანარჩენ სამ რაიონში კი 18,298. მაგრამ თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში,—სწერია დეპეშაში—რომ ჩხარი-ზესტაფონ ხარაგოულის რაიონის ზოგიერთი უბნები უფრო ახლოა ჭიათურასთან და მას შეუერთეთ, მაშინ თითქმის გათანასწორდება ორივე ნაწილი მცხოვრებთა რიცხვის მიხედვითო.“ „შემოყვანილი საბუთების ძალით ჩვენ სამართლიანათ მიგვაჩნია მაზრის ცენტრად აღიარებული იქნეს **ჭიათურა**, რის შესახებაც ჩვენ ვშუამდგომლობთ მთავრობის წინაშე“. ამ დეპეშას ხელს აწერს **ჭიათურის რევკომის თავმჯდომარე ა. ვაშაძე.**

არ გვგონია, რომ ამხ. ა. ვაშაძე, როცა ასეთ დეპეშას გზავნიდა მთავრობის სახელზე, ფიქრობდა ნიკოლოზის დროინდელი მოღვაწეების, „კნეინა“ ელისაბედ წერეთლას და მენშევიკების მსგავსად **მშრომელი გლეხობის და მაზრის გაპარტახებაზე.**

ამავე საქმეში № 12 არის დეპეში ქუთაისის გუბერნიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის, დღეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. ტალახაძის (ს. ფ. 5) დეპეში, რომელიც ახასიათებს რა ჭიათურის ყოფილი რევკომის მუშაობას, (მაინც და მაინც არა ჭიათურის ყოფილი რევკომის სასარგებლოდ) დაბეჯითებით ადგას იმ აზრს, რომ მთელი მაზრა და მაშასადამე მაზრის მუშურ-გლეხური ელემენტი, მოიგებს ჭიათურაში ცენტრის გადატანით ჭიათურა სამრეწველო მუშური ცენტრია, იქ იყრიან თავს ყველანი და გეოგრაფიულადაც ჭიათურა უფრო შუა გული, ვინემ შორაპანი. მაგრამ იქნებ ამხ. **პიერის** აზრით, ამხ. ტალახაძეც პირადი ინტერესებით მაზრის გაპარტახების მიზნით, მენშევიკების და „კნეინა“ ელისაბედ წერეთლის ხათრით იქცევა ასე?.

ამ შუამდგომლობათა გამო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა 1921 წლ. 17 ივლისს № 6, 23 აგვისტოს № 32, 30 სექტემბერს № 74, 9 დეკემბერს №№ 245, 246, 247 და სხვა მიმართა ყველა დაინტერესებულ ორგანოთ, დაწვრილებითი ცნობები და მასალები წარმოედგინათ კომისარიატში, რასაც სხვათა შორის მოითხოვდა თავის დადგენილებაში საქართველოს რევკომი გასული წლის 25 აგვისტოს. საქართველოს საგანგებო კომისიაც (ჩეკაც) აღიარებს, რომ უმჯობესია ცენტრის ჭიათურაში გადატანა და წინააღმდეგია მაზრის ორად გაყოფისა. ასეთი აზრი საგ. კომისიის თავმჯდომარეს გამოთქმული აქვს გასული წლის 17 დეკემბრის № 16847 თარიღით შინ. საქ. სახ. კომ. გამოგზავნილ მომართვაში. ამხ. პიერის აზრით, ვინ იცის, იქნება ეს აზრიც უკუღმართად იყოს მიმართული მშრომელი გლეხობის და მუშების ინტერესების წინააღმდეგ? მაშ ჩავყვეთ ქვევით.

იმ მოხსენებაში, რომელიც წარუდგინა ამხ. მჟავანაძემ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, საქართველოს რევკომს და საქ. კომუნისტური პარტიის ცეკას, გასულ წელს (იხ. საქმე ფ. 18), რომელმაც საქ. კომპარტიის ცეკას დავალებით მოიარა ქ. ჭიათურა, შორაპანი, ყვირილა და ქუთაისი, სწერია, რომ შორაპნის მაზრის ცენტრი არ ეგუება მაზრის ინტერესებს, არც ეკონომიურის, არც პოლიტიკურის და არც გეოგრაფიულის მხრივ. ყველა ამ მოსაზრების მიხედვით მიზანშეწონილი იქნებოდა მაზრის ცენტრის ჭიათურაში გადატანაო. საინტერესოა აგრეთვე დეპეში, რომელიც მოვიდა მაზრის რევკომიდან (იხ. საქმე ფ. 20) „შორაპნის სამაზრო რევკომის და პარტკომის შეერთებული კრების დადგენილება. გამოვდივართ რა იმ თვალსაზრისიდან, რომ ჭიათურის რაიონი არის პოლიტიკურად და ეკონომიურად მაზრის ცენტრი, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის მიხედვით წარმოება ჭიათურაში უნდა დაიწყოს დაკვრით. **იქნეს ცენტრი გადატანილი ჭიათურაში“**, „მხოლოდ ყვირილა-შორაპნის ხარაგოული ჩხარი გამოიყოს ცალკე ერთეულადო“. ამ დეპეშას ხელს აწერს მაზრის რევკომის თავმჯდომარე ამხ. ვაშაძე და სამაზრო პარტკომის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. კალე საჯაია. ვერ დაუჯერებთ ამხ. პიერს, რომ ამ შემთხვევებშიაც ზევით დასახელებული პირებისათვის ძალიან სასურველი იყოს „კნეინების“, ნიკოლოზის და მენშევიკების დროის პოლიტიკა. იქნებ ესეც არაა საკმარისი? განვაგრძოთ კიდევ.

ა | წ. 29 იანვარს (იხ. საქმე ფ. 24 და 25.) ჭიათურის რევკომმა გამოგზავნა ოქმი იმ დადგენილებისა რომელიც მიიღო ჭიათურა-საჩხერის რაიონის, თემების, პარტკომის, საბჭოთა ყველა დაწესებულების, კერძო და საზოგადო სამრეწველო დაწესებულების წარმომადგენლებმა 1921 წლ. 18 დეკემბერს. ამ დადგენილებაში ხაზგასმითაა აღნიშნული: ეთხოვოს მთავრობას, მაზრის ცენტრი ყვირილიდან ჭიათურაში იქნეს გადატანილი. მოყვანილია სხვა და სხვა მოსაზრება ამის დასაბუთებლად. ოქმში აღნიშნულია ისიც, რომ, თუ შეუძლებელი იქნება ცენტრის გადატანა, მაშინ დაარსდეს ჭიათურა საჩხერიდან ცალკე მაზრაო. რას იტყვის ამხ. პიერი ამ ოქმის შესახებაც? ნუ თუ ყველა, ვინც 18 დეკემბრის კრილობას დაესწრო „კნეინების“, ნიკოლოზის და მენშევიკების ინტერესებს იცავდნენ?

საკმარისად მიგვაჩნია აქ მოყვანილი საბუთები, რათა შევანელოთ ამხ. პიეროს ცეცხლი. მაგრამ, რომ უფრო ნათელი შეიქნეს. მისი ფარული აზრები, რომელიც დიდის მოხერხებით აქვს ჩაქსოვილი სადისკუსიო წერილში, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ აქვე ის მოსაზრებანი, თუ რით ხელმძღვანელობდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, როცა შორაპნის მაზრის ცენტრის საკითხის ლიკვიდაციისათვის გადასდგა სათანადო ნაბიჯები.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა შორაპნის მაზრის ალმასკომს გადაუგზავნა პროექტის სამი ასლი იმ განმარტებითი მოხსენებისა, რომელიც უნდა წარედგინოს ცენტრალურ მთავრობას განსახილველად და წინადადება მისცა, მიეღო ზომები, რათა შორაპნის მაზრის მუშები და გლეხები ფართოდ გასცნობოდნენ მას, გამოეთქვათ თავიანთი აზრი და დაჩქარებით წარმოედგინათ კომისარიატში. ეს იყო ამა წლის 24 ივნისს № 720 5659. მაგრამ დღემდე შორაპნის მაზრის ალმასკომიდან არავითარი პასუხი არ მოსულა. განმარტებითი ბარათში მოყვანილია ამ საკითხის შესახებ არსებული ყველა მოსაზრება, (რომელიც წინააღმდეგია ცენტრის გადატანისა) და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ჰგონია რომ:

პირველი: ჭიათურა არის მუშათა ცენტრი და მაშასადამე საბჭოთა ხელისუფლება დაინტერესებულია ცენტრი იქ ჰქონდეს მას, სადაც რამდენიმე ათასი მუშა იყრის თავს. ამას მოითხოვს თვით ხასიათი და შინაარსი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ხელისუფლებისა.

მეორე: ძველი მთავრობის დროს, როცა რკინის გზა გაჰყავდათ, ჭიათურა რომ ყოფილიყო ისეთი მნიშვნელობის, როგორიც მას მიეცა შავი ქვის აღმოჩენიდან, უეჭველია ისიც მაზრის ცენტრს ჭიათურაში გადაიტანდა, როგორც საერთო ხასიათის მოსაზრებათა, ისე ძველი წყობილების სპეციალური თვისების გავლენის ქვეშ. მაგრამ ჭიათურა მაშინ უმნიშვნელო გეოგრაფიული წერტილი იყო, სადაც მხოლოდ ერთი პატარა წისქვილი იყო გამართული.

მესამე: ჭიათურა და მისი რკინის გზა მთელი მოწყობილობით არის რესპუბლიკაში საუკეთესოდ შენახული ხაზი. მატარებლები დადიან თავისუფლად და შემადგენლობაც საკმარისია მაზრის სასამსახუროდ. ჩხარი-ხარაგოული და ზესტაფონის რაიონებისათვის ჭიათურაში ჩასვლა არავითარი სიძნელეს არ წარმოადგენს, რადგან ამ რაიონებს მთელი სიგძეზე გადასჭრის რკინის გზის მთავარი ლიანდაგი, რომელსაც ჭიათურის შტო უერთდება.

მეოთხე: ჭიათურა არის სამრეწველო რაიონი უდიდესი მნიშვნელობის და იგი ერთნაირად იზიდავს, როგორც მუშა გლეხობას, ისე კომერციულ-ბურჟუაზიულ წრეებს. მთელი საქართველოდან და კერძოთ მთელი მაზრიდან გლეხობა ჭიათურაში იყრის თავს სამუშაოზე და ამ მხრივ მუდმივი მისწრაფება მუშა ხელისა არის ჭიათურისაკენ და არა ყვირილასაკენ, რომლის მცხოვრებთა მთავარ კონტიგენტს წვრილი ვაჭრები შეადგენენ.

მეხუთე: თუ კი ცენტრის გადატანით რამდენიმე კუთხეს დაშორდება იგი, მაშინ ქუთაისის მაზრის საზღვრებთან მდებარე სოფლები (მაგალითად არგვეთი, ღვანკეთი, თერჯოლა და სხვ), ქუთაისის მაზრის მოსაზღვრე სოფლები, შეიძლება ქუთაისის მაზრას მიეწეროს ამით სრულიადაც არ იქნება შელახული შორაპნის მაზრიდან გამოყოფილი სოფლების ინტერესები.

მეექვსე: გეოგრაფიული სივრცე ორი მოპირდაპირე ნაწილისა, არაა იმდენად თვალსაჩინო და განსხვავებული, რომ მაინც და მაინც შეიძლებოდეს თქმა თითქმის უმრავლესობის ინტერესი ეწირება უმცირესობისას. ასეთი მოსაზრების „კომპენსაციაა“ ჭიათურასთან მიმოსვლის სიადვილე.

მეშვიდე: მაზრის ორად დაყოფა გამოიწვევს ხარჯების გაორკეცებას, ძალების დაბანდებას, ენერგიის ორკეცად ხარჯვას. ამასთან ისედაც პატარა მაზრა კიდევ უფრო დაქუცმაცდება და ეს არც სახელმწიფოებრივი, არც ეკონომიურის თვალსაზრისით გასამართლებელი არაა.

მერვე: ჭიათურა წარმოადგენს თითქმის ევროპიულად მოწყობილ ქალაქს: ელექტრონის სადგური, ტელეფონები, საუცხოვო საავადმყოფო, მშვენიერი შენობები, თეატრი, შკოლები და სხვ. ყოველივე ეს სხვა უპირატესობასთან ერთად კიდევ უფრო აძლიერებს ჭიათურის ცენტრად გადაქცევის მოსაზრებას.

მეცხრე: უნდა მივიღოთ მხედველობაში ისიც, რომ საქართველოში თითქმის არ არსებობს არც ერთი მაზრა, რომლის ადმინისტრატიული ცენტრი ამასთანავე გეოგრაფიული ცენტრიც არ იყოს. გამონაკლისს, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ მხოლოდ შორაპნის მაზრა შეადგენს“.

ასეთია საქმის მდგომარეობა. ამხ. პიერს მისამართი შეეშალა და ვერ გადახტა ისე, როგორც მას გამოზომილი ჰქონდა. მას სურდა ჩრდილი მიეყენებია თავისი წერილით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისათვის და ძალიან გვაოცებს ის გარემოება, რომ იგი, კომისარიატის მუშაობას, კომუნისტური პარტიის პასუხისმგებელი, გამოცდილი პირების დაკვირვება—აზრებს, ხერხიანად ადარებს ნიკოლოზის და მენშევიკების პოლიტიკას და რაც ყველაზე უფრო გასაოცარია ბატონ-ყმობის ნაშთს საქართველოში „კნეინა“ ელისაბედ წერეთლის მოღვაწეობას. რას ნიშნავს ამხ. პიერის წერილი? ნუ თუ იგი იმდენად კადნიერდება, რომ შორაპნის მაზრის ცენტრის საკითხის შესახებ, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის და ყველა ამ წერილში მოყვანილი ამხანაგების და ორგანიზაციების აზრი, შეგნებული, გინდ უნებლიეთი ღალატია მუშურ-გლეხური ინტერესების, არის „კნეინების“, ნიკოლოზის და მენშევიკების პოლიტიკის მიღება და თანაგრძნობა? ან და ვინ არის ამხ. პიერი, რომ მას ვერ შეეცილება ვერავინ შორაპნის მაზრის ინტერესების ცოდნაში, მშრომელი გლეხობის და მუშების გრძნობების მესაიდუმლობაში? იცოდეს ამხ. პიერმა, რომ ჩვენ ძალიან კარგად გვესმის თუ რა უნდა მუშებს და გლეხებს, და ისიც ძალიან კარგათ ვიცით, თუ რა ინტერესებს შორაპნის მაზრის ცენტრის მიკიტნებსა და გაიძვერა ვაჭრებს.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ა. გეგეჭკორი.**
ივნისის 11, 1922 წ.

---

*) სადისკუსიო.

ქრონიკა

◆ სახ. გან. კომისარი ამხ. კანდელაკი ჩამოვიდა მოსკოვიდან.

◆ **მიბაძვის მაგალითი.** თბილისის მაზრის ალმასკომა შესწირა სადგურ ნატანებიდან ქ. ოზურგეთამდე რკინის გზის შტოს გასაყვანათ 150 ფუთი მატყლი და 500 ფუთი ხორბალი, რაზედაც რკინის გზის მომწყობ კომისიის სახელით გულითად მადლობას ვუცხადებ და ვისურვებ რომ სხვა მაზრებსაც გადაედგას ასეთი ნაბიჯი.

გურიის რკინის გზის მომწყობ კომისიის მონდობილობით სერგო მეგრელიშვილი.

◆ **ნატანებ-ოზურგეთის რკ. გზ. გასაყვანათ,** თბილის სამაზრო ალმასკომმა გადადო ნატანებ ოზურგეთის რკ. გზ. სასარგებლოთ 150 ფუთი მატყლი და 500 ფუთი ხორბალი.

◆ **საშვალო მუშაობა რკ. გზ.** წერაკითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ „უჩკაპროფსოჟის“ მასშტაბით სამ პუნქტზე სწარმოებს. რკ. გზ. სამკურნალოში არსებობს შკოლა, სადაც ბეჯითათ მეცადინეობს 30 კაცი. მეორე შკოლა თბილისის ორგანიზაციის 1 რაიკომშია, სადაც ითვლება 17 კაცი, აქ მეცადინეობაზე დასწრების საქმე ცოტათ მოიკოჭლებს. მე-3 შკოლა არსებობს 15 კაცისთვის გურჯაანში.

◆ გამოვიდა საყმაწვილო წიგნი, სწავლა-განათლების სექციის მიერ გამოცემული: „დედაბერი ტურა და მელია კუდა გძელია“.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში.

◆ **ყარსის კონვენციები.** შ. ს. ს. კომისარიატმა მიიღო ყარსში დადებული კონვენციების ასლები. კონვენციებში გათვალისწინებულია უფლებები და მოვალეობანი ოსმალეთიდან საქართველოში შემოსული და აგრეთვე საქართველოდან ოსმალეთში მიმავალ მეჯოგეთა და მენახირეთა უფლებები და მოვალეობანი. შ. ს. ს. კომისარიატმა სასწრაფოდ დაუგზავნა სათანადო მიწერილობა აჭარისტანის სახ. კომისართა საბჭოს და ახალციხე ახალქალაქის ალმასკომებს, რომლებთაც დაევალათ კონვენციის § 4 თანახმად მისი სისრულეში მოყვანა და სათანადო ენერგიით ცხოვრებაში გატარება.

სტამბა დუშეთის მაზრისათვის. დუშეთის მაზრის ალმასკომმა შ. ს. ს. კომისარიატის საშუალებით, შუამდგომლობა აღძრა სრ. საქ. ცენტრალური ალმასკომის და სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა დუშეთს დაეთმოს ერთი, პატარა ზომის საბეჭდი მანქანა, რადგან მაზრაში დიდ საჭიროებას გრძნობენ, როგორც ხელისუფლების ორგანოები ისე პარტიული დაწესებულება.

პასუხისგებაში მიცემა. შ. ს. ს. კომისარიატის ინსტრუქტორ-კონტროლიორების გამოძიებისა და სხვა მასალების მიხედვით, დუშეთის მაზრის, მუხრანის თემის ალმასკომის თავმჯდომარე და მდივანი გადაყენებულ იქნენ სამსახურიდან და მთელი საქმე გადაეცა აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალს სათანადო მიმართულების მისაცემად.

ინსტრუქცია მოხსენებათა შედგენის შესახებ. შ. ს. ს. კ. დაუგზავნა ყველა მაზრის და ქალაქის და ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალურ ხელისუფლების ორგანოებს ინსტრუქცია იმის შესახებ თუ წარმოდგენილ მოხსენებებში რა კითხვებზე უნდა იქნეს გაცემული პასუხი. ინსტრუქცია შეიცავს 30 კითხვას, რომელიც სავსებით ამოსწურავს მოხსენების შინაარს.

ბორჯომის საკითხი. ბორჯომის რაიონის ცალკე ერთეულად გამოყოფის და მისი დაქვემდებარების საკითხის შესახებ, შ. ს. ს. კომისარიატმა მოიწვია კომისია ყველა დაინტერესებული უწყებათა წარმომადგენელის მონაწილეობით. კომისიაში მონაწილეობა მიიღეს: სახ. მეურ. უმაღ. საბ., ჯანმრთელობის, მიწად მოქმედების და შ. ს. ს. კომისარიატების წარმომადგენლებმა. დაესწრო აგრეთვე ბორჯომის ალმასკომის თავმჯდომარე. საბოლოო დასკვნისა და დასტურისათვის, კომისიამ დაადგინა ბორჯომის საკითხი წარედგინოს უმაღლესი ხელისუფლების ორგანოებს.

შ. ს. ს. კ. ჟურნალი „მოამბე“. გამოვიდა შ. ს. ს. კომ. „მოამბის“ მორიგი 35 ნუმერი, რომელშიც მოთავსებულია მთავრობის ცენტრალური ალმასკომის, სახალხო კომისართა საბჭოსი და შინ. საქ. სახ. კომისარიატის დეკრეტები, ბრძანება, დადგენილება და ცირკულიარები.

შრომის სახალხო კომისარიატში.

ზარალის ანაზღაურება. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების გასაფართოებლად მუშავდება დებულების პროექტი იმ ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც ტვირთზიდვის ინვენტარმა ნახა ტვირთზიდვის ბეგარის შესრულების დროს.

დასახლებით მოთხოვნის აკრძალვა. შრომის სახ. კომისარიატის კოლეგიამ დაამტკიცა, შრომის ბირჟის კოლეგიის დადგენილება სამუშაო ძალის დასახლებით მოთხოვნის აკრძალვის შესახებ.

უმუშევართა ფონდისათვის დადგენილია გამოითხოვონ 3000 მილიონი მანეთი.

უმუშევარ მუშა ძალის გადაგზავნა. კოლეგიამ სასურველად სცნო ქალაქის განტვირთვა უმუშევრებისაგან და დადგენილია ეს საკითხი გადაეცეს გადასაჭრელად ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატს.

არტელების პერერეგისტრაცია. კოლეგიამ დაადგინა სასწრაფო წესით წარადგინოს სახალხო კომისართა საბჭოში დადგენილების პროექტი არტელების პერერეგისტრაციის შესახებ.

სახალხო სასურსათო კომისარიატში.

ბათომის დამამზადებელი კანტორა. ამ დღეებში ბათომში დაიწყებს მოქმედებას საქართველოს სახალხო სასურსათო კომისარიატის დამამზადებელი კანტორა. სასურსათო კომისარიატმა უკვე გადასდო საჭირო თანხა, რათა კანტორას საშუალება მიეცეს ამ თავიდანვე დაიწყოს ფართო საკომერციო ოპერაციები. კანტორის გამგედ დანიშნულია ამხ. რაფაელ სპირიდონის ძე დვალი.

სავაჭრო ურთიერთობანი ჩეხოსლოვაკურ ფირმებთან. საქართველოს სახალხო სასურსათო კომისარიატი ფართო საკომერციო ურთიერთობას იწყებს დიდ ჩეხო-სლოვაკურ ფირმებთან, რომლებთანაც უკვე გამართულია მოლაპარაკება.

კრედიტი „მწყემსის“ საზოგადოებას. თანახმად სახალხო სასურსათო კომისარიატსა და სრულიად საქართველოს მეცხვარეთა საზოგადოება „მწყემსს“ შორის დადებული ხელშეკრულებისა, რომლითაც „მწყემს“ დავალებული აქვს აწარმოოს მთელს საქართველოში მატყლის მონოპოლიური დამზადება, სასურსათო კომისარიატი სახალხო ბანკში „მწყემსს“ საჭირო კრედიტს უხსნის თავის თავდებობით. მატყლის დამზადების გარდა „მწყემსს“ ნაკისრები აქვს მოაგროვოს რესპუბლიკაში ის მატყლიც, რომელიც მოსახლეობაზეა შეწერილი ნატურ გადასახადების სახით.

გორის მაზრიდან პურეულის პროდუქტების გატანის აკრძალვა. სახალხო სასურსათო კომისარიატის დადგენილებით ამა წლის ივლისის 10-ს თარიღით გორის მაზრიდან პურეულის პროდუქტების გამოტანა სავსებით აკრძალულია იმ დრომდე, ვიდრე ამ მაზრაში სასურსათო გადასახადის შეგროვება არ დასრულდება. ამის გამო გორის სამაზრო ალმასკომის თავმჯდომარეს და სამაზრო სასურსათო კომისარს წინადადება მიეცა, მიიღონ სასწრაფო ზომები მაზრის სრულიად დაკეტვისათვის. ეს დადგენილება აგრეთვე ეცნობა ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსს თხოვნით, რათა განკარგულება მოახდინოს, რომ რკინის გზის სადგურებმა გორის მაზრის ფარგლებში პურეულის პროდუქტები გადასაზიდად არ მიიღონ არავისაგან, გარდა სახალხო სასურსათო კომისარიატისა და გორის მაზრის სასურსათო კომისარის „ნარიადებისა“.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში

ალმასკომების დებულების ახალი პროექტი

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საინსტრუქტორო განყოფილებამ შეიმუშავა ახალი პროექტი სამაზრო და სათემო ალმასკომების დებულებისა.

ძველი დებულებისაგან განსხვავებით ახალი პროექტი წარმოადგენს ცდას რაც შეიძლება მეტი ცენტრალიზაციისა და მმართველობის ერთპიროვნული პრინციპის გატარებისა.

1. თემის ალმასკომში უქმდება კოლეგიალური პრეზ. 3 წევრისაგან შემდგარი და მთელი მუშაობა ალმასკომის და საბჭოს დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად, ევალება ალმასკომის თავმჯდომარეს.

ეს მოგვცემს საშუალებას საგრძნობლად შევამციროთ ხარჯები.

თემის გადამხდელებს თვითეული წევრი პრეზიდიუმის ამ გაუქმებულ 2 წევრთაგან დაუჯდებოდა არა ნაკლებ 4 ნახ. მილ. თუ ვიანგარიშებთ იმას, რომ რესპუბლიკაში არის 402 თემი, ხოლო თვითეულ თემში—2 წევრით შემცირება, საშუალოდ შეამოკლებს შტატს 804 წევრით, რაც თავის თავად იწვევს 3.618 მილ. მანეთის ხარჯების შემცირებას, ხოლო წლიურად კი ეს შეიცავს ძალიან მნიშვნელოვან ციფრს 40 მილიარდ მანეთს.

გარდა ამისა დებულება აძლიერებს რა ცენტრალიზაციას, ამასთანავე აძლიერებს აღსრულებასაც, რასაც რასაკვირველია არ შეუძლია დადებითად არ იმოქმედოს მუშაობაზე.

მეორე მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც მოაქვს დებულებას, არის სამაზრო ალმასკომების ორგანიზაციული გადაწყობა. დებულებით გაუქმებულია ჯანმრთელობის, მიწათმოქმედების, სახალხო განათლების განყოფილებები და აწესებს ინსპექტორების ინსტიტუტს სათანადო სახალხო კომისარიატებიდან თვითეულ ალმასკომთან. თანახმად დებულებისა კომუნალური განყოფილება შედის შინაგან მმართველობაში და იგივე უნდა იყოს ამასთან სამაზრო მილიციის გამგებელიც.

სამხატვრო ქრონიკა

◆ **„ბახტრიონი“.** გამოვიდა პირველი ორი ნომერი კვირეულ სალიტერატურო და საინფორმაციო გაზეთ „ბახტრიონი“-სა, გიორგი ლეონიძის რედაქტორობით. პირველ №-ში მოთავსებულია, მოწინავეს გარდა, წერილები: ალი არსენიშვილის—გამოგონილი საუკუნოები, პაოლო იაშვილის—პოეტი საქართველოში, ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსი—ჩიბის, ანგარიში პავლე ინგოროყვას და პროფ. ივ. ჯავახიშვილის მოხსენებებისა რუსთაველის შესახებ, ბესიკის ავტობიოგრაფიული მასალა და სალიტერატურო ქრონიკა.

მეორე № შიː წერილები—ქართული მესიანიზმი—გ. ლეონიძისა, სახელმწიფო გამომცემლობა—ტ. ტაბიძისა, ანგარიში პ. ინგოროყვას დამატებითი მოხსენების რუსთაველის შესახებ, დიალოგი—შ. აფხაიძისა, ლექსები—პ. იაშვილის, ვალ. გაფრინდაშვილის, სანდრო შანშიაშვილის, რაჟდენ გვეტაძის და გრ. ცეცხლაძის, და საქრონიკო მასალა.

◆ **გალაქტიონ ტაბიძე.** გალაქტიონ ტაბიძე ამ ჟამად სრულიად ჯანმრთელად არის. პოეტი ავად იყო ერთი კვირის განმავლობაში, ამ მოკლე ხანში გაიმართება მისი საღამო.

◆ **არქეოლოგიური ექსპედიცია ნინოწმინდაში.** გასულ კვირას არქეოლოგიური კომისია გ. ჩუბინიშვილის, დ. მელიქსეთბეგის და სხ. გაემგზავრა ივრის ხეობაში კერძოდ ნინოწმინდის ტაძარის (4 საუკ.) დასათვალიერებლად. ექსპედიციამ ნინოწმინდაში დაჰყო სამუშაოდ სრული ხუთი დღე. მოკლე ხანში ექსპედიციის მუშაობის შესახებ ერთ ერთი წევრი მოხსენებას წაიკითხავს.

◆ **მუსიკალური სასწავლებელი აჭარაში.** სახელოვნო კომიტეტმა მელიტონ ბალანჩივაძის მოხსენებით გადასწყვიტა დააარსოს მუსიკალური სასწავლებელი აჭარაში. ადგილობრივ პირობების გამოსარკვევად სახელოვნო კომიტეტის მიერ მივლინებულია ამხ. მელიტონ ბალანჩივაძე.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

ხე-ტყის მასალების ექსპორტი

ამიერ-კავკასიის სატყეო მრეწველობის განყოფილებამ დასდო ხელშეკრულება საგარეო ვაჭრობის კომისარიატთან, საზღვარ-გარეთ საექსპორტო ხე-ტყის მასალების გასანაღდებლად.

განზრახულია გაიგზავნოს ხე-ტყის მასალები არა მარტო კავკასიიდან, არამედ აგრეთვე ცარიცინის რაიონებიდან. განზრახულია ხე-ტყის მასალების პირველი პარტია გაიგზავნოს ივლისში.

მსოფლიო მოსავლიანობა.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ შეკრებილია საინტერესო ცნობები მიმდინარე წლის მსოფლიო მოსავლიანობის შესახებ. თანახმად რომის საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ცნობებისა, ხორბლით დათესილი მოედანი 16 სახელმწი-

მუშათა ცხოვრება

ელექტრონის სადგურებზე.

მინდა ვისიც ჯერ არს ყურადღება შევაჩერო დღევანდელ ჩვენს გაზეთში მოთავსებულ მუშათა მთელ რიგ კორესპონდენციებზე ელექტრონის სადგურებიდან. ყოველი სადგურიდან გამოგზავნილი კორესპონდენცია თითქმის ერთ და იმავეს ლაპარაკობს; ელექტრონის სადგურები ყველგან ანტისანიტარულ და ტეხნიკურათ მოუწყობელ პირობებშია. საჭიროა ამ სადგურების შეკეთება ზოგან კაპიტალური და ზოგან პატარა ხასიათის, აქვს მას მრავალი სხვა დეფექტებიც, რის გაუსწორებლობა არა მარტო ქმნის მუშა-მოსამსახურეებისათვის მუშაობის ცუდ პირობებს, არამედ ცვეთავს და ახდენს მანქანებს, რაც ელექტრონის წარმოებას მომავალში დიდ საფრთხეს უმზადებს.

მუშათა ორგანიზაციები გულგრილათ ვერ შეხვდებიან მუშურ გლეხური ხელისუფლების განკარგულებაში მყოფ წარმოებების ასეთ სავალალო მდგომარეობას. მათ წარმომადგენლებმა სათანადო ორგანოებში ამ საკითხის შესახებ ხმა უნდა ამოიღონ და დააყენონ არა მარტო მუშათა ინტერესების, არამედ სახელმწიფოებრივ თვალსაზრისითაც ეს საკითხი. კერძოთ ქალაქის აღმასკომს, რომლის განკარგულებაშიაც არის ტფილისში არსებული ელექტრონის სადგურები, მართებს მუშებისა და მისი ორგანიზაციების ამ ხმას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს.

აქილეხი.

ერთის თავგადასავალი

(რას იტყვის საბინაო განყოფილება?)

შრომის შესახვევში № 8 ერთ მუშას, გვარათ ზახაროვს, ეკავა ორი ოთახი. მას მოუწია სამსახურის საქმეზე სხვა ქალაქში წასვლა. შინ დარჩა მისი მეუღლე და შვილი. სახლის კომიტეტის თავმჯდომარემ ჩამოართვა ერთი ოთახი: ოჯახის თავი აქ არაა, მეტი რა საჭიროაო, ცოლმა ბევრი ილონა რომ ოთახი არ ჩამორთმეოდა, მაგრამ ვერაფერს გახდა. შემდეგ შეეკითხნენ; თქვენი ქმარი სად არისო და როდესაც მიიღეს პასუხათ ბათომშიო—თქვენც ბათომში უნდა წაბრძანდეთო უთხრეს და მეორე ოთახიც ჩამოართვეს. დარჩა მუშის ოჯახი უბინაოთ ქუჩაში. ყოველივე ეს მოხდა საბინაო განყოფილების დასტურით. ცხადია განყოფილება შეცდომაში შეიყვანეს. ქუჩაში დარჩენილი მუშის ოჯახი ერთიერთ მუშათა სახლში შესახლეს. ასეთ შემთხვევაში საბინაო კომიტეტმა დაარღვია მუშათა სახლზე პროფკავშირის უფლება. მუშათა სახლში სათანადო პროფკავშირის სანქციით ხდება ყოველგვარი შესახლება და გადასახლება. ესეც არ იყვეს იქ დატოვებული მუშის ოთახის ბინა მისცეს სახლის მეპატრონეს. სახლის მეპატრონე ვინმე გიგაური ერთობ ცინიკურათაც მოექცა მუშის ოჯახს, გალანძღა და ბარგის ქუჩაში გაყრით დაემუქრა. ზახაროვმა მუშათა ყოფა ცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიაში შეიტანა, თავის თავგადასავლის აღწერა აღსავსე საშინელებათა და კურიოზებით. **უნდა მოხდეს ამ საქმის გამოძიება დამნაშავეთა პასუხის გებაში მისაცემათ.**

გარეშე.

ცეკავშირის სტამბა.

ცეკავშირის სტამბასთან არსებობს ელექტრონის სადგური. სადგური მეტად ანტისანიტარულ და ტეხნიკურად მოუწყობელ პირობებშია. ის ან უნდა გადაკეთდეს ისე, როგორც საჭიროა, ან და საერთოთ დაიხუროს და ელექტრონის ძალა სხვა სადგურიდან იქნეს გამოყვანილი. შრომის ტეხნიკურმა ინსპექტორმა, რომელმაც ამას წინად დაათვალიერა ეს სტამბა, ასეთივე აზრი გამოსთქვა.

მ—ი.

ახალგაზრდები შრომის დაცვას თავის საქმედ სთვლიან.

ხუთშაბათს 6 ივლისს ავლაბარში რაიონულ კომიტეტის სადგომში მომუშავე ახალგაზრდათა (კომ. კავშირის წევრების) კრებაზე შრომის დაცვის შესახებ მოხსენება გააკეთა შრომის ინსპექტორმა, რამაც ცხოველი კამათი და შეკითხვები გამოიწვია. გამოირკვა რომ ბევრი ადგილები, სადაც მცირეწლოვანები მუშაობენ, შრომის დაცვის ორგანოების მიერ არ თვალიერდება, რაც ხელს უწყობს უზომო ექსპლოატაციას. აღნიშნული იყო, რომ ეს იმის ბრალია, რომ შრომის ინსპექტორის და კომკავშირის შორის არ იყო აქამდი მტკიცე კავშირი. მარტო შრომის ინსპექტორის მუშაობა სხვების დაუხმარებლათ, უნაყოფო იქნებაო. ამიტომ გადაწყვიტეს ამოერჩიათ დამხმარე კომისია ახალგაზრდებისაგან, რომელიც შრომის დაცვის საქმეში ინსპექტორთან ერთად იმუშავებს.

კრებაზე დაისვა საკითხი აგრეთვე უმუშევარ ახალგაზრდობაზე და მათ აუტანელ მდგომარეობაზე.

წინადადება შემოვიდა უმუშევრების წინააღმდეგ საბრძოლველათ მიექცეს ყურადღება შრომის კომისარიატის და პროფ. კავშირების მიერ ამ საკითხის მოგვარებას, წარმოება-დაწესებულებებში მოზარდ ახალგაზრდობის სავალდებულო რიცხვის შემოღებას.

დამსწრე.

ყოფილი ტერზარსენოვის ელექტრონის სადგური

ამ სადგურში არ არის შრომის კანონები სავსებით დაცული. ასეთი გვერდის ავლა შრომის კანონებზე ქმნის შრომის ცუდ პირებს. გვიხდება ანტისანიტარულ და საშიშ პირობებში მუშაობა. ამ გარემოებას სათანადო ყურადღება მიაქცია შრომის დაცვის განყოფილების სატეხნიკო ინსპექციამ. ამ ინსპექციის წარმომადგენელმა დაათვალიერა ჩვენი სადგური და აღმოაჩინა მრავალი დეფექტი. ჩამოწერა ეს დეფექტები და მისცა ადმინისტრაციას წინადადება ორი თვის განმავლობაში გაესწორებია ის. მაგალითად იატაკის გასწორება, ასფალტის და ცემენტის მოგება, სახურავიდან წყლის დენის მოსპობა და სხვა. სასურველია სადგურის ადმინისტრაცია სათანადო ყურადღებით მოეკიდებოდეს ამ შენიშვნებს და დროით მოსპობდეს ხსენებულ დეფექტებს.

მუშა.

ავტო-სახელოსნო № 3

(ჩერქეზიშვილის ქ. № 115).

სახელოსნოს, ამას წინათ, ესტუმრა შრომის დაცვის განყოფილების სატეხნიკო ინსპექციის წარმომადგენელი იმის გამოსარკვევათ, თუ რამდენათ დაცულია შრომის დაცვის ტეხნიკური პირობები. ინსპექციის წარმომადგენელმა ნახა ტეხნიკურ კანონებზე მრავლათ გვერდის ავლა. თუ ეს ტეხნიკური დეფექტები დროზე არ იქნა გასწორებული, ეს სახელოსნოსაც [illegible] მანქანების წახდენით და ჩვენც გვავნებს ჯანმრთელობის დასუსტებით. საჭიროა ადგილკომმა ენერგიულათ მოსთხოვოს ადმინისტრაციას დეფექტების დაუყონებლივი გასწორება.

ვ—ე.

ფოში წარმოადგენს შეერთებით — 117,049,000 აკრს.

ქვავით დათესილია 11 სახელმწიფოში სულ 24,421,000 აკრი, ესე იგი 12,3 პროცენტით მეტი, შარშანდელთან შედარებით. პურის მოსავალი ამგვარია: ავსტრიაში, ბელგიაში, იტალიაში და პოლონეთში მოსალოდნელია საშუალო მოსავალი, როცა საფრანგეთში საშუალოზე რამოდენიმედ ნაკლებია. ფიქრობენ, რომ ხორბლეულობის საზამთრო ნათესების მოსავალი ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოიტანს 73,000,000 კვარტერს, ვინემ წასულ წელში, მაშინ როცა ქვავის მოსავალი მოიტანს 9,200,000 კვარტერს, ესე იგი 36,7 პროცენტით მეტს, ვინემ 1921 წელში.

საფეიქრო სინდიკატი ამიერ-კავკასიაში.

სრულიად რუსეთის საფეიქრო სინდიკატებმა გახსნა ერევანში და ბაქოში განყოფილებები საბითუმო საწყობებით და საწვრიმალო სავაჭროებით, სადაც იყიდება საფეიქრო ნაწარმოები ყველა ტრესტების, რომლებიც შედიან სინდიკატის შემადგენლობაში, როგორც ნაღდი ანგარიშით, ისე საქონლის გაცვლა-გამოცვლის წესით.

შეიძინეთ შეშა.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სატყეო კომიტეტის მოწოდებას, „ეხლავე შეიძინეთ შეშა“, აქვს უფრო მეტი საფუძველი იმიტომაც, რომ ამ ჟამად რკინის გზების სამმართველოს მოეპოება ზედმეტი ცარიელი და დახურული ვაგონები და პლატფორმები, გამგზავნელებს ისინი მიეცემათ პირველ განცხადებისთანავე შეშის და ხე-ტყის მასალების გადასაზიდათ, არა მარტო სადგურებზე, არამედ სადგურების შორისაც, შემოდგომაზე და ზამთარში, როცა დაიწყება პურის პროდუქტების გადაზიდვა და საჭირო იქნება აუარება ტვირთის გადაზიდვა ბათუმიდან ჩრდილოეთში და სადგურ შორაპნიდან—შავი ქვის გაზიდვა ფოთში, მაშინ ძნელი იქნება ხე-ტყის მოსახლეობისათვის და შეშისათვის ვაგონების მიცემა; ვაგონები გაიცემა განცხადებების რიგის და აგრეთვე ტვირთის კატეგორიების მიხედვით, შეშა კი ეკუთვნის მეხუთე კატეგორიას.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

თამბაქოს პლანტაციები ლაგოდეხის რაიონში.

ფართოდ განავითარა თამბაქოს ტრესტმა წელს თავისი ორასზე მეტი თამბაქოს პლანტაციები ალაზნიდან კავკასიონის მთავარ ქედამდე და დაიჭირა ყველა დაუთესავი ადგილები ამ მდიდარ რაიონში. ამრიგად დაწყებულია დიდი კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობა თამბაქოს წარმოების სფეროში, რომელიც ასაზრდოებს ქვეყნის ყველაზე მსხვილ სახელმწიფო მრეწველობას.

ეს რაიონი იძლეოდა მშვიდობიან დროში 100 ათას ფუთამდე ფურცელ თამბაქოს, რაც იყო მისი უმთავრესი სარჩო, მაგრამ 19 წლიდან თამბაქოს კულტურა სავსებით ჩაკვდა, უკვე არსად აღარ ჩანდა თამბაქოს არც ერთი პლანტაცია, და თამბაქოთ მოშენებული ადგილების უმეტესობა წარეცხილ იქნა.

თამბაქოს კულტურის შეწყვეტისას მოსახლეობას მოაკლდა თავისი არსებობის უმთავრესი წყარო და იწყო დაღარიბება.

სიმშილის აჩრდილი მოახლოებული იყო.

თამბაქოს ტრესტმა თავისი დაწყებული საქმით მოუტანა დიდი სარგებელი გაღატაკებულ მოსახლეობას, შეიტანა გამოცოცხლება რაიონში და გამოიწვია დიდი ინტერესი თამბაქოს საქმისადმი. წელს გლეხები ღებულობენ დახმარებას თამბაქოს დასამუშავებლად, მუშაობის გათავებისას კი თამბაქოს აბარებენ ტრესტს თვით პლანტატორების მიერ დაწესებულ ფასებში.

წარმოებითი პროფკავშირებში

მიწის და ტყის მუშათა კავშირში

მუშათა ყოფა ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით დაიწყო სასწრაფო წესით ურთიერთ დახმარების კასის მოწყობა. ამის შესახებ მოხსენებებს ყველგან ეგებებიან აღტაცებით. კავშირში შემოდის კასის მომავალ წევრების—მუშებისაგან ნებაყოფლობითი გადასახადი.

გამომუშავებულია ახალი მომატებული განაკვეთი კავშირის წევრ—მუშებისთვის. უმაღლესი კვალიფიკაციის მუშა ღებულობს 8—10 მილიონ მანეთს.

ივნისში კავშირმა გახსნა 4 ახალი შკოლა წერა კითხვის უცოდინარობასთან საბრძოლველად, სომხებისთვის, ქართველებისთვის და რუსებისთვის.

გახსნილია პირველი და მეორე საფეხურის სკოლები მსმენელთა 141 საერთო რიცხვით.

მტვირთავების კავშირის მოწმობა.

მოისმინა რა განცხადება მტვირთავების არტელებისაგან, მტვირთავების კავშირის ორგანიზაციის აუცილებლობის შესახებ და მიიღო სახეში, რომ ამ კავშირს შეუძლია შეაერთოს დაახლოვებით 4,000, კ. ცენტრალურმა ბიურომ დაადგინა შეუთანხმდეს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს საორგანიზაციო განყოფილებას, ქალაქ თბილისის მტვირთავების პროფესიონალურ კავშირის ორგანიზაციის საკითხში და პარალელურად გაატაროს მუშაობა მტვირთავების რაიონულ არტელების მოსაწყობად.

დახმარება ბიუროს.

დაადგინეს სთხოვონ შრომის სახალხო კომისარიატს აღძრას შუამდგომლობა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა მიეცეს ბიუროს, არტელების ორგანიზაციის საქმის განსავითარებლად, დახმარება მილიარდ ნახევარ მანეთის რაოდენობით.

მეხსაცმელის მოხელეთა კავშირი.

მიეცა დახმარება 30 მილიონ მანეთის რაოდენობით.

პროვინციაში

ნატანების რაიონი (გურია)

ა. წ. 18 ივნისს ნატანების რაიონის შუა ალაგას შესდგა ამავე რაიონის მცხოვრებთა მრავალ რიცხოვანი მიტინგი. მიტინგი გახსნა სამხთოს თემის აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ს. გოგოტიშვილმა. თანამედროვე მომენტზე მომხსენებლად გამოვიდა გურიის სამაზრო კომიტეტის წევრი ამხ. გრ. მგალობლიშვილი. მან ვრცლად დაახასიათა თანამედროვე მომენტი, შეეხო გენუას კონფერენციას, საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლების მოღვაწეობას ამ კონფერენციაზე და მათ ბრწყინვალე გამარჯვებას, რაიც გამოიხატება გერმანიასთან ხელშეკრულების დადებაში, ანტანტას დაშლაში და პროლეტარულ ევროპის საბჭოთა წარმომადგენლებისადმი თანაგრძნობაში. მომხსენებელმა აგრეთვე სასტიკათ დაგმო 24 მაისის მენშევიკების კონტრრევოლიუციონური გამოსვლები, რასაც გურიის ამა თუ იმ კუთხეში ჰქონდა ალაგი. მომხსენებლის სიტყვა დაჰფარა ხანგრძლივმა ტაშის ცემამ და „გაუმარჯოს“ ძახილმა. ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია.

მოისმინა რა მოხსენება ამხ. გრ. მგალობლიშვილისა თანამედროვე მომენტზე და საბჭოთა ქვეყნების პოლიტიკაზე, მიტინგი იწონებს საბჭოთა წარმომადგენლების პოლიტიკას როგორც გენუაში, ისე სხვაგანაც და აღუთქვამს მხურვალე დახმარებას საჭიროების დროს. სასტიკათ ჰგმობს უპასუხისმგებლო პირების მიერ გამოწვეულ მენშევიკურ 24 მაისის გამოსვლებს და საერთოდ ანტიბოლშევიკურ მოქმედებებს.

გაუმარჯოს მუშათა გაერთიანებულ ფრონტს!

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას!

გაუმარჯოს კომუნიზმს!.

გ. თავაძე.

წერილი რედაქციის მიმართ

რადგან დავრწმუნდი, რომ მენშევიკებმა უღალატეს მუშათა კლასს, ხოლო ოთხი წლის შეუდრეკელმა ბრძოლამ დამარწმუნა, რომ მუშის და გლეხის ინტერესების დამცველი ყოფილა მხოლოდ კომუნისტური პარტია, დღეიდან უარს ვყოფ მენშევიკურ პარტიას და სრულიად ვუთანაგრძნობ კომუნისტურს.

ხ. ი. ზანზალიძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 34.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი. სახელმწიფო საწარმოო და სხვა დაწესებულების მუშა მოსამსახურეთა საკომპენსაციო ნორმების შესახებ სამსახურიდან დათხოვნისათვის.

1. ყველა სახელმწიფო საწარმოო და სხვა დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეს, რომელიც დათხოვნილ იქნება სამსახურიდან არა თავისი ნებით (შტატის შემცირებისა, საწარმოო დაწესებულების დახურვისა და მისი ნაწილობრივი ლიკვიდაციის გამო) უნდა გამოეცხადოს ამის შესახებ ორი კვირით ადრე დათხოვნამდე.

შენიშვნა: უკეთუ ამა მუხლში აღნიშნული წინასწარი განცხადება დასათხოვნ მომუშავეს არ ეცნო მას უნდა მიეცეს დახმარება სამსახურიდან გასვლისათვის ორი კვირის სასყიდლის რაოდენობისა.

2. სამსახურის უკანასკნელ ვადათ მუშა-მოსამსახურისათვის ჩაითვლება მუშაობის ფაქტიურად დატოვების დღე.

3. ამა დადგენილების გამოცემამდე არსებული ყველა დებულება ამ საგანზე გაუქმებულია.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ხ. ქავთარაძე.**

შრომის სახალხო კომისარი **ლ. დუმბაძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. ივლისის 6
თბილისი—სასახლე.

დადგენილება № 35

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი. საკონცესიო, საიჯარო და კერძო საწარმოო დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა საკომპენსაციო ნორმების შესახებ სამსახურიდან დათხოვნისათვის.

1. ყველა საკონცესიო, საიჯარო და კერძო წარმოებათა, დაწესებულებათა და მეურნეობათა მუშა მოსამსახურეს, რომელიც დათხოვნილ იქნება სამსახურიდან არა თავისი ნებით (შტატების შემცირებისა, საწარმოო დაწესებულების დახურვისა ან მისი ნაწილობრივი ლიკვიდაციის გამო) უნდა განეცხადოს ამის შესახებ ორი კვირით ადრე დათხოვნამდე.

შენიშვნა: უკეთუ ამა მუხლში აღნიშნული წინასწარი განცხადება დასათხოვნ მომუშავეს არ ეცნო, მას უნდა მიეცეს კომპენსაციად ორი კვირის სასყიდლის რაოდენობა.

2. ამა დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული წესით დასათხოვნ მუშა-მოსამსახურეს უფლება აქვს გარდა საწინასწარგანცხადებო დახმარებისა მიიღოს სალიკვიდაციო გასამრჯელო ერთი თვის სასყიდლის რაოდენობისა თვითეული ნამსახური წლისათვის,—როცა სამსახური ორ წლამდეა, და ნახევარი თვის სასყიდლის რაოდენობისა თვითეულ ნამსახური წლისათვის, როცა სამსახური ორ წელს აღემატება; ამასთანავე სალიკვიდაციო გასამრჯელო არ შეიძლება იქნეს ორი კვირის სასყიდელზე ნაკლები და ოთხი თვის სასყიდელზე მეტი; არა სრული წლისათვის სალიკვიდაციო გასამრჯელო გამოითვლება თვითეული ნამსახური თვისათვის სასყიდლის ნორმის 1 | 12 ანგარიშით.

3. სალიკვიდაციო გასამრჯელოს გამოანგარიშება სწარმოებს უკანასკნელი დროის შრომის ხელფასის მიხედვით ყველა დამატებითი სარგოთი.

4. მუშა-მოსამსახურის მუშაობის უკანასკნელ ვადათ ჩაითვლება ანგარიშის ფაქტიურად გასწორების დღე.

5. ამა დადგენილების გამოცემამდე არსებული ყველა დებულება ამ საგანზე გაუქმებულია.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ხ. ქავთარაძე.**

შრომის სახალხო კომისარი **ლ. დუმბაძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე**

1922 წ. ივლისის 6.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 36.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი. მუშა მოსამსახურეთა შვებულების მიცემის წესის შესახებ.

1. შრომის ყოველი დარგის მუშა-მოსამსახურე, რომელსაც სახელმწიფო, საზოგადოებრივ, კერძო საწარმოო და სხვა დაწესებულებაში და კერძო პირთან უმუშავნია განუწყვეტლივ არა ნაკლებ 5 ნახევარი თვისა, უფლება აქვს მიიღოს მორიგი შვებულება, რომლის განმავლობაში ეძლევა ყოველგვარი გასამრჯელო და აგრეთვე ჯამაგირი წინასწარ; ამასთანავე იმ პირს, ვისაც უმუშავნია არა ნაკლებ 5 ნახევარი თვისა—მიეცემა ორი კვირის შვებულება, ხოლო ვისაც უმუშავნია არა ნაკლებ 11 თვისა—ერთი თვის შვებულება.

შენიშვნა: განსაკუთრებულ შემთხვევაში (მინდვრების სამუშაოზე გაგზავნა და სხვ.) შემთანხმებელი კომისიის შეხედულებისამებრ მომუშავეს ნება ეძლევა ისარგებლოს თავისი თვიური შვებულება ნაწილ-ნაწილ ორჯერ, ხოლო იმ პირობით, რომ შუამდგომლობის საფუძვლად წარმოდგენილ იქნეს სათანადო საბუთი, რომელიც დაადასტურებს შვებულების აღნიშნული დანაწილების აუცილებლობას.

2. შვებულების დროის გასამრჯელო გაცემულ უნდა იქნეს საშუალო ხელფასის მიხედვით. რომელსაც მომუშავე ღებულობდა სამი თვის განმავლობაში შვებულებამდე, ხოლო არა ნაკლებ თვიური სამუშაო გასამრჯელოსი, რომელიც მიიღო უკანასკნელ თვეს შვებულებაში წასვლამდე.

საშუალო სამუშაო ხელფასის გამოანგარიშებისათვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული: სატარიფო განაკვეთი, სასყიდელი ზედმეტ მუშაობისათვის, საპრემიო, ნაჭრობით მომუშავეთათვის საშუალო სანაჭრო ხელფასი და შრომის სხვა გვარი სასყიდელი.

3. შვებულების მიცემა სწარმოებს სამსახურის მთელი წლის განმავლობაში მორიგეობის წესზე, რომელსაც განსაზღვრავს შემთანხმებელი კომისია, ხოლო ისე რომ დარღვეულ არ იქნეს მუშაობის ნორმალური მსვლელობა.

4. მუშა-მოსამსახურეს რომელიც არ ისარგებლებს შვებულების უფლებას საწარმოო ან სხვა დაწესებულების მიზეზის გამო, მიეცემა კომპენსაციად სათანადო გასამრჯელო, რაც გამოანგარიშებულ უნდა იქნეს ამა დებულების მეორე მუხლის თანახმად; ამასთანავე კომპენსაციის მიცემა სწარმოებს 11 თვის მუშაობის შემდეგ.

შენიშვნა: სამსახურიდან დასათხოვნ მუშა-მოსამსახურეს, რომელსაც არ უსარგებლია შვებულების უფლება იმის გამო, რომ სამსახურის სრული კანონიერი ვადა არ შეუსრულებია, მიეცემა ლიკვიდაციის დროს კომპენსაცია საშუალო ხელფასის ერთი მეთორმეტე ანგარიშით, თვითეული ნამსახური თვისათვის.

5. შვებულების სარგებლობა აღნიშნულ უნდა იქნეს ანგარიშის გასწორების წიგნაკში ან სხვა სათანადო დოკუმენტში.

6. დადგენილება ესე არ ეხება იმ შვებულებას, რომელიც მიცემულ იქნება ავადმყოფობის გამო სამკურნალო-საკონტროლო კომისიების მიერ; ამასთანავე ავადმყოფობის გამო მიღებული შვებულება ჩაითვლება სამსახურის ვადაში, რომელიც შვებულების უფლებას ანიჭებს.

7. ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან გაუქმებულია არსებული ყოველი დებულება ამ საგანზე.

8. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ხ. ქავთარაძე.**

შრომის სახალხო კომისარი **ლ. დუმბაძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. ივლისის 6.
ტფილისი—სასახლე.

ცირკულიარულად.

აღმასკომის თავმჯდომარეს და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს.

ოქმებთა, დადგენილებათა, ბრძანებათა და სხვა აქტების წარმოდგენის შესახებ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციის თანახმად, მოსდის როგორც მოხსენებანი მათი მუშაობის და მაზრის მდგომარეობის შესახებ, [illegible] აღმასკომების და მათი პრეზიდიუმის სხდომებისა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს საჭიროდ მიაჩნია მაზრის და ქალაქის ადგილობრივი ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებმა სხდომების ოქმებთან ერთად წარმოადგინონ აგრეთვე:

1. ასლები იმ სავალდებულო დადგენილებათა, ინსტრუქციების და ბრძანებების, რომლებიც განხილულ და დამტკიცებულნი იქნებიან აღმასკომის, ან მისი პრეზიდიუმის სხდომაზე.

ოქმებს უნდა დაერთოს თან ცნობები აღმასკომების პირადი შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ.

3. ოქმები უნდა იგზავნებოდეს დაუგვიანებლად ე. ი. მანამდე სანამ დაგროვდებოდეს რამოდენიმე ცალი, რაც აძნელებს მათ გადათვალიერებას და აბრკოლებს კონტროლს.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ა. გეგეჭკორი.**

საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი.**

სარედაქციო კოლეგია.

ღრმად დამწუხრებული აქიმი ვეტერინარი ბესარიონ პავლეს ძე შენგელია და შვილები მისი ეკატერინე და დარეჯანი ბესარიონის ასულნი გულდათუთქულნი აუწყებენ ნათესავ-ნაცნობთ, რომ კვირას 9 ივლისს უდროოდ გარდაიცვალა პირველის საყვარელი მეუღლე, ხოლო უკანასკნელის ძვირფასი დედა

ნინო ივანეს ასული შენგელიასი

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 13 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე (მოსკოვის ქ., № 4) წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე. (3—2)

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
სამკურნალო
საწოლი ოთახებით
მიხეილ გედევანიშვილისა
ტფილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.
(25—7)

დადგენილება

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა ურთი-ერთ შორის ანგარიშების მოწესრიგების შესახებ.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გამო, ყველა სახელმწიფოებრივი და საზოგადო დაწესებულებანი გადავიდნენ სამეურნეო ანგარიშებზე. ამისათვის სწორი ანგარიშების მისაცემად სამეურნეო ორგანოების მოღვაწეობაზე თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი საჭიროდ თვლის, ოცი დღის განმავლობაში, დღიდან ამ დადგენილების გამოცხადებისა, მოაწესრიგოს ყველა საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებთან საურთიერთო ანგარიშები ამ წლის პირველ იანვრიდან პირველ ივნისამდე აღმასკომის კომუნალურ და საფინანსო განყოფილებათა საშუალებით.

ყოველ გვარი ანგარიშები და პრეტენზიები სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, რომელთაც არ ექნებათ მოწესრიგებული დანიშნულ ვადაზე ანგარიშები, დატოვებული იქნებიან უყურადღებოთ.

ხოლო ამ წლის პირველ ივნისიდან თბილისის აღმასკომის ორგანოებმა თავისი მუშაობა უნდა აწარმოვონ დაინტერესებულ მხარეებთან კონტოკორენტიულ ანგარიშების გასწორებით ნაღდ ფულზე და არავითარი ჩარიცხვა-გადარიცხვა ორგანოების ანგარიშებისა, თუნდაც ერთ და იგივე დაწესებულებებში, დაშვებული არ იქნება.

თბილისის აღმასკომის თავმჯდომარე **ლ. დუმბაძე.**
კომუნ. განყოფილების გამგე **ი. წივწივაძე.**
საფინანსო განყოფილების გამგე **თ. ღლონტი.**

განცხადება

ბრიგადის სასურსათო მომარაგების განყოფილება აცხადებს, რომ 13 ამ ივლისს დილის 10 საათზედ ზემოხსენებულ განყოფილებაში (ევანგულოვის ქუჩა № 3) საჯარო ვაჭრობით (დახურული განცხადებებით) გაიყიდება 200 ფუთი თეთრი ინგლისური რკინა (ქუტი II 6 1|2 და 250 ფუთი თუთუნი დამუშავებული. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღეს, გარდა კვირა უქმე დღეებისა, აღნიშნულ დაწესებულებაში.

ქართულ შეერთებულ ბრიგადის მომარაგების განყოფილება.

(1—1)

თფ. აღმასრულებელ კომიტეტის გადასახადთა ბიურო

აცხადებს, რომ ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის შენობაში (ოთახი № 10) 15 ივლისს დღის 12 საათზე გაიმართება

საჯარო ვაჭრობა

ქვემო დასახელებულ სასტუმროების იჯარით გასაცემად.

1. ელიზავეტპოლი	ვორონცოვის ქ. № 21
2. შემახა	19 თებერ. ქ. № 54.
3. ავრორა	პლეხანოვის ქ. № 5.
4. ახუნდოვის ნომრები	ვორონცოვის ქ. № 35.
5. კარაბახი	აბანოს ქ. № 4.
6. აზერბეიჯანი	ვორონცოვის ქ. № 24.
7. ბორჯომი	19 თებერვლის ქ. № 93.
8. სამტრედია	სამჭედლოს ქ. № 2.
9. ირანი	ვორონცოვის ქ. 26.
10. კომერციული ნომრები	ირაკლის ქ. № 8

ქ. ტფილისის მე-5 უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვლილებულ 18 ოქტომბერს 1920 წ. ნიკოლოზ არტემის ძე ბაბანასოვის ქონებაზე, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება აღნიშნულ ქონებაზე ორი თვის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

(1—1) სახალხო მოსამართლე: **მ. კობიაშვილი.**

ტირაჟი 10,000. ნ. დ. ს. ც. საქართველოს უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.